საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოლოდროინდელი სიფცვაა, ფულიანობით და ჯიბეებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლოესია.

ხუთშაბათი, 8 დეკემბერი. 2016 წ. №229 (8121), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ესპანეთში მხოლოდ ქურდობისთვის ჩადიოდნენ

ქართველი მძარცველები ევროპაში და მათი კავშირები რუსეთთან 5

წმინდა მიწაზე

არქეოლოგიური გათხრები მაცხოვრის სიფლავის საყდარში

9



„ჭკვა ცოდნით მოიხმარეშის“!..



სიბრიყვესთან წილნაყარი დილეტანტობა,

ანუ „ჩვენ გვჭირდება ახალი რწყილი“ 6

ამ ხალხისა გამკვირვებია!..

ვის ვიცავთ – „რუსთავ-2“-ს თუ გვარამიას?!

„რუსთავი-2“ თუ გააჩუმეს, ეს იგივე საქართველოს გაჩუმებაა, საქართველოში დემოკრატიის ნაცამალაც აღარ იარსებებსო. ასეთ ქვეყანაში ცხოვრება კი ნამდვილად აღარა ღირსო.

ზუსტად ასეთი აზრი კიდევ ერთხელ გაახმიანეს გუშინ „რუსთავი-2“-ის ეკრანიდან, ამ არხის გაგებით, ეგრეთ წოდებულმა ცნობადმა სახეებმა, თანაც თურმე ყველაზე ცნობადმა სახეებმა საქართველოში...

ამ მერუსთავეთა აზრით, გვარამია თუ არ იქნა გენერალური დირექტორი, მაშინ „რუსთავი-2“ ვეღარ ირუსთავორებს და საქართველოში ბნელეთი გამეფდება, დანარჩენი არხები გინდ ყოფილან, გინდ არა, მთავარი თურმე მაინცდამაინც გვარამიას „რუსთავი-2“-ა!

თქვე, კაი ხალხო, ჯერ ეს ერთი, რატომ აყენებთ შეურაცხყოფას დანარჩენ ტელეარხებს, რომლებიც ჯანსაღი კრიტიკით ბევრად უსწრებენ „რუსთავ-2“-ს და არც სხვა პროგრამებით ჩამოუვარდებიან ამ ერთპარტიულ აშკარად ტენდენციურ ტელეარხს. მეორეც, როგორც უმრავლესობა, როგორც ყველა კეთილგონიერი ქართველი, კარგად მახსოვს თქვენც სამართლიანობის აღდგენას ითხოვდით ახალი ხელისუფლებისაგან. ეს სამართლიანობა მალევე აღდგა „იმედის“ მიმართ, კიდევ ბევრი ყაჩაღურად მიტაცებული კერძო ქონების მიმართაც, მაგრამ დღემდე ვერა და ვერ დაუბრუნდა „რუსთავი-2“ თავის კანონიერ მფლობელს.

პირდაპირ გასაკვირია, რატომ ფიქრობთ, რომ ეს კანონიერი მფლობელი აუცილებლად სახეს დაუკარგავს „რუსთავ-2“-ს და აუცილებლად შეცვლის სარედაქციო პოლიტიკას?!

არა, ბატონებო, ამ ტელეარხს არც დახურვა ემუქრება და არც, მით უმეტეს, გაჩუმება, ის მთელი საარჩევნო პერიოდი „თავისას უბერავდა“, მაგრამ ნაციონალებმა არჩევნები მაინც ვერ მოიგეს. ასე რომ, არც „რუსთავი-2“-ის დახურვას აპირებს ვინმე და არც გაჩუმებას. ლაპარაკია არხის კანონიერი მფლობელისთვის დაბრუნებაზე.



თქვენ კი უკუღმა აყენებთ საკითხს. თუ გვარამიამ არ იგენერალდირექტორა, არც ეს არხი იქნებაო. რატომ? სადაც გვარამია არ არის, იქ რა, არც ტელემაუწყებლობაა?!

ასეთი აშკარად მიკერძოებული გამოქომაგება სულაც არ მიკვირს კალმის მწვალებელ ლაშა ბუღაძისაგან, კალამცქვიტ დავით ტურაშვილისაგან, საეჭვო პრინციპების მქონე ლაშა ბაქრაძისაგან, ნაციონალების ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის მეუღლისაგან, ჩვენი სახელოვანი ნინო ანანიაშვილისაგან, რომელსაც, როგორც ჩანს, ფეხებშიც ნაციონალური პოლიტიკა აქვს გამჯდარი, მაგრამ ნამდვილად მიკვირს ისეთი დარბაისელი ადამიანისებიგან, როგორიც ჩვენი ძვირფასი ნანი ბრეგვაძე, გელა ჩარკვიანი და ნიაზ დიასამიძეა.

რა ვქნათ, ნაირ-ნაირად მოაზროვნე ძვირფასო ქართველებო, შერჩევით აღვადგინოთ სამართლიანობა?!

მე მგონი, ამ საკითხში ყველას ერთი აზრი უნდა გვაერთიანებდეს, რადგან სამართლიანობა ამქვეყნად ერთადერთია, რომელსაც, როგორც იტყვიან, თვალისჩინივით დაცვა და გაფრთხილება სჭირდება!

სხვანაირად კარგ საქართველოს, ტყუილია, ვერ ავაშენებთ!

გურამ წიკლაური

აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა საქართველოს აჯანმრთელებს!

საქართველოში ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა უახლესი თაობის რადიოქირურგიული სისტემა EDGE-ით იქნება შესაძლებელი, რაც სამიზნე უბნის მაღალი სიზუსტით დასხივებისა და გამოჯანმრთელების დიდ შესაძლებლობას იძლევა.

თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი აკადემიკოს ფრიდონ თოდუას კლინიკა გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოსთან ერთად დაათვალიერა.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, მისასალმებელია, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამასთან თანამშრომლობის შედეგად, სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის სწორი პარტნიორობის მოდელით, შესაძლებელი გახდა თანამედროვე აპარატურის შეძენა, რის შედეგადაც პაციენტებს სამკურნალოდ უცხოეთში გამგზავრება აღარ მოუწევთ. უახლესი აპარატურით მკურნალობა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება.

„ეს არის ისეთი აპარატურა, რომელიც არ აზიანებს ჯანმრთელ ქსოვილს. ის, რის გამოც ჩვენს თანამემამულეებს უწევდათ საკუთარი ქონების გაყიდვა, ძალიან მძიმე ფინანსური ტვირთის აღება, დღეს შესაძლებელია საქართველოში. ეს პროგრამა სახელმწიფოს მიერ ფინანსდება. აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა ნამდვილად არის ადამიანი, რომლითაც ყველამ უნდა ვიამაყოთ. იგი 1990 წელს ჩამოვიდა საქართველოში, ამ კლინიკაში ინვესტირებული აქვს 34 მილიონი ევრო და ეს მართლაც ძალიან მისასალმებელი საქმეა, რადგან, მოგეხსენებათ, სახლში საკუთარი კედლებიც კურნავს ადამიანს“, — აღნიშნა პრემიერმა.

ახალ კორპუსში, რომლის მშენებლობა 8 თვეში დასრულდა, პაციენტებს უახლესი აპარატურით — ორი სხივური ამაჩქარებლით, რადიოქირურგიული სისტემა EDGE-ით და ბრაქითერაპიის აპარატით მოემსახურებიან. უახლესი ტექნოლოგიები, ჯანმრთელი ორგანოებისა და ქსოვილების დაცვით, სიმსივნური უბნის დიდი სიზუსტით, მაქსიმალური დასხივებისა და გამოჯანმრთელების დიდ შესაძლებლობას იძლევა.

პრემიერი იმედს არ კარგავს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი დიდ იმედს გამოთქვამს, რომ უახლოეს მომავალში ვიზალიბერალიზაციის საკითხი წარმატებით გადაწყდება. ამის შესახებ გიორგი კვირიკაშვილმა გამოცემა POLITICO-ს ჟურნალისტ დევიდ ჰერცენჰორნთან ინტერვიუში განაცხადა.

გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოში ჩატარებული არჩევნების შემდეგ, მისი პირველი ვიზიტი საზღვარგარეთ სწორედ ბრიუსელში შედგა, რაც სიმბოლურია. **„სიმბოლურია, რომ პირველი ვიზიტი სწორედ ევროპის დედაქალაქში იმართება, რაც ხაზს უსვამს ევროინტეგრაციის, როგორც საქართველოს სტრატეგიული მიზნის მნიშვნელობას“,** — განაცხადა პრემიერმა.

ჟურნალისტის კითხვაზე, ასრულებს თუ არა ევროკავშირი საქართველოსთვის მიცემულ დაპირებებს, განსაკუთრებით, საქართველოს მხრიდან დასავლეთთან ინტეგრაციასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებების გათვალისწინებით გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ თუ ჟურნალისტი ვიზების ლიბერალიზაციას გულისხმობს, „ეს საკითხი როგორღაც შეფერხდა ევროპულ ინსტიტუტებს შორის“.

„ვიზების ლიბერალიზაციას აქვს უზარმაზარი გარდამქმნელი ძალა, რომელიც ამოძრავებს რეფორმების დღის წესრიგის განხორციელების პროცესს. გამოვთქვამთ დიდ იმედს, რომ უახლოეს მომავალში ეს საკითხი წარმატებით გადაწყდება“, — განაცხადა პრემიერმა.

მიხეილ ჯანელიძე: ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტის წერილი ადასტურებს ევროკავშირისთვის საქართველოს ვიზალიბერალიზაციის საკითხის პრიორიტეტულობას

„პირველ რიგში, არ მინდა, არანაირი კომენტარის გაკეთება ევროკავშირის ინსტიტუტების შიგნით მიმდინარე მოლაპარაკებებზე და დისკუსიაზე. მაგრამ მინდა, ხაზი გავუსვა, რომ ამ წერილით, რომელიც გასაჯაროვდა, კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა საქართველოსთან ვიზალიბერალიზაციის საკითხის პრიორიტეტულობას, როგორც ევროპული ინსტიტუტებისთვის, ასევე ზოგადად ევროპული პოლიტიკისთვის“, — განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ დონალდ ტუსკის წერილის კომენტირებისას.

მისი განცხადებით ეს ასევე დადასტურდა ბრიუსელში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტის დროს გამართულ მაღალი დონის შეხვედრებზე, სადაც ცალსახად დაფიქსირდა საქართველოს მხარდაჭერა ევროკავშირის მხრიდან. **„საქართველოს ვიზალიბერალიზაციის საკითხი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ეს წარმოადგენს ევროპული პოლიტიკის ძალიან მნიშვნელოვან საკითხს. დარწმუნებული ვარ ევროკავშირის უმაღლესი პოლიტიკური ლიდერების მხარდაჭერით და ინტერესით ეს პროცესი მალე დასრულდება“** — აღნიშნა მინისტრმა. მისი თქმით ევროკავშირის შესაბამის ინსტიტუტებში აქტიურად მიმდინარეობს ე.წ. შეჩერების მექანიზმზე გადაწყვეტილების მიღების პროცესი და როგორც მიხეილ ჯანელიძემ დასძინა ნატოს მინისტერიალის ფარგლებში კოლეგა მინისტრებთან გამართული შეხვედრების დროს, ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის საკითხის პარალელურად განხილვის ერთ-ერთი თემა სწორედ ვიზალიბერალიზაციაა და საქართველოს ამ პროცესში აქვს პარტნიორი და მეგობარი სახელმწიფოების სრული მხარდაჭერა.

თბილისის გეზს ამერიკის შეერთებული შტატების მაღალჩინოსანი ეწვია

5 დეკემბერს, შემოსავლების სამსახურის გაფორმების ეკონომიკურ ზონას (გეზ) „თბილისი“ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მდივნის თანაშემწის მოადგილე საიმონ ლიმაჟი ეწვია. მაღალი რანგის სტუმარი აშშ სახელმწიფო დეპარტამენტში მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის მიმართულებას კურირებს. დელეგაციის შემადგენლობაში იყო ასევე ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის (EXBS) ხელმძღვანელი საქართველოში მონიკა დორადო.

შეხვედრის მიზანს საქართველოს საბაჟო სისტემაში მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის, სტრატეგიული და ორმაგი დანიშნულების ტვირთების კონტროლის, საბაჟო რისკების მართვის, საზღვრის მართვაში ჩართულ უწყებათა შორის თანამშრომლობის, ერთობლივი მუშაობის კუთხით არსებული მდგომარეობის შეფასება წარმოადგენდა.

დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს გეზის ტერიტორია, სადაც საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა დელეგაციის წევრებს გაფორმების ეკონომიკური ზონებისა და გაფორმების პროცედურების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს.

ოგბლა ჟვანია: CO-ს ორგანიზმში მოხვედრის ბევრი საშუალება არსებობს, ჩემი ძმა მოკლულია!..

ჩემი ძმა მოკლულია და ამაზე არაერთხელ მისაუბრია — ეს განცხადება, გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას ძმამ გოგლა ჟვანიამ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ეთერში გააკეთა. გადაცემა „არჩევანში“ საუბრისას განაცხადა, რომ ოჯახი არ უარყოფს ფაქტს ზურაბ ჟვანიას CO-თი გარდაცვალებასთან დაკავშირებით. გოგლა ჟვანია ამბობს, რომ, სავარაუდოდ, CO ზურაბ ჟვანიას და რაულ უსუპოვის სხეულში ძალადობრივი მეთოდით მოხვდა.

მისივე თქმით ზურაბ ჟვანიას ცხედრის ექსჰუმაცია მოხდება და მას საერთაშორისო ავტორიტეტული საექსპერტო ბიუროს წარმომადგენლები მოახდენენ. ჟვანია განმარტავს, რომ მისი ძმის საქმის გამოძიების გაჭიანურება ტექნიკურ საკითხებს უკავშირდება და მიმდინარეობს სერიოზული კვლევები, რომლებშიც საერთაშორისო საექსპერტო ბიუროები მონაწილეობენ.

აფხაზეთის საკითხი რუსეთმა დაბლოკა

უკრაინის დელეგაციამ გაეროს უშიშროების საბჭოს ოკუპირებულ აფხაზეთსა და რუსეთს შორის გაერთიანებული სამხედრო ძალების შექმნის შეთანხმების განხილვის ინიციატივით მიმართა, თუმცა წინადადება რუსეთის დელეგაციამ დაბლოკა. ამის შესახებ ინფორმაცია ჟურნალისტებს გაეროში უკრაინის მუდმივმა წარმომადგენელმა მიაწოდა.

ვლადიმირ ელჩენკოს თქმით, რუსული მხარე უხეშად არღვევს საერთაშორისო ვალდებულებებს, მათ შორის 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას. უკრაინულმა მხარემ ოფიციალურ მოსკოვს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჯარების გამოყვანისკენაც მოუწოდა, რათა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში საერთაშორისო უსაფრთხოების მექანიზმების ამოქმედება და საქართველოს ტერიტორიული მთლანობის აღდგენა გახდეს შესაძლებელი.

რუსეთის მიერ გაეროში აფხაზეთის საკითხის განხილვის დაბლოკვაზე გაეროში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის კახა იმნაძის თქმით, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს საკითხი დახურული სხდომის ფორმატში მოხვდა.

ანდერს ფოგ რასმუსენი ევროკავშირს ღალატში ადანაშაულებს!

„უხეშ სიტყვასაც გამოვიყენებდი. ვფიქრობ, ევროკავშირის მხრიდან ეს ერთგვარი ღალატია, იმის გათვალისწინებით, რომ უკრაინამ ვიზალიბერალიზაციისთვის ყველა საჭირო კრიტერიუმი დააკმაყოფილა“, — განაცხადა ნატოს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა სააგენტო Reuters-თან ინტერვიუში.

„მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის პრეზიდენტი და მისი დელეგაცია საჯაროდ ოპტიმიზმის შენარჩუნებას ცდილობდნენ, კარგად მესმის, კიევში როგორი იმედგაცრუებულები დაბრუნდებიან“, — აღნიშნა ანდერს ფოგ რასმუსენმა.

გიორგი მარგველაშვილი ურუგვაის რესპუბლიკის პრეზიდენტს ტაბარე ვასკესის შეხვდა

საფრანგეთში სამუშაო ვიზიტით მყოფი საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ურუგვაის პრეზიდენტს ტაბარე ვასკესის შეხვდა.

შეხვედრის დასაწყისში საქართველოს პრეზიდენტმა ურუგვაის პრეზიდენტს მადლობა გადაუხადა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ურყევი მხარდაჭერისათვის. საუბარი შეეხო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ ვითარებას და ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს.

გიორგი მარგველაშვილმა ასევე მადლიერება გამოხატა ურუგვაის მიმართ იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ გაეროს რეზოლუციიის მხარდაჭერისათვის, რომლითაც გაეროს წევრი ქვეყნები აღიარებენ საქართველოში ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების უფლებას და აღნიშნა, რომ ურუგვაის ამ მხარდაჭერას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის ლათინური ამერიკისა და კარიბის აუზის ქვეყნებში მსგავსი მხარდაჭერის მოსაპოვებლად.

გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, საქართველო დაინტერესებულია ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის რეგიონის ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავებით, მათ შორის ტურიზმისა და ბიზნესის სფეროებში.

ანა ნაცვლიშვილი: ფორმატი გამჭვირვალე და ინკლუზიური უნდა იყოს

საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში პრეზიდენტის ჩართულობის მნიშვნელობაზე საუბრობს „საიას“ თავმჯდომარე ანა ნაცვლიშვილი. მისი თქმით, კონსტიტუციის გადახედვის და საკონსტიტუციო კომისიის შექმნის საკითხი არის ძალიან მნიშვნელოვანი და მოსაფიქრებელი თემა და განსასაზღვრია, კონკრეტულად რა იქნება კომისიის მანდატი და ვინ შევა კომისიის შემადგენლობაში.

„როდესაც საქმე ეხება კანონს და მითუმეტეს, ქვეყნის ძირითად კანონს, როგორიც არის კონსტიტუცია, მაქსიმალურად ინკლუზიური, წარმომადგენლობითი, ღია და გამჭვირვალე უნდა იყოს ფორმატი, რომელიც იმუშავებს ამ ცვლილებებზე. რა თქმა უნდა, თუ ამ ფორმატში მნიშვნელოვანი სტატუსით არ იქნება წარმოდგენილი პრეზიდენტი, რომელიც არის სახელმწიფოს მეთაური, ეს დააკნინებს ამ კომისიის მნიშვნელობას, სტატუსს და ძალიან ცუდი იქნება“...

* * *

არ ინერვიულოთ, ძვირფასო ანა, ყველაფერი „ინკლუზიური, ღია და გამჭვირვალე იქნება“...

◎ ენას ძვალი არა აქვს!

კონგრესმენი დუნკან ჰანტერი: უკრაინამ ყირიმი დონბასზე უნდა გაცვალოს, რუსეთი კი უკრაინიდან და საქართველოდან უნდა გავიდეს!

შეერთებულ შტატებს არ შეუძლია უკრაინის მხარეზე იომოს, თუმცა იმის შესაძლებლობა აქვს, რომ იარაღი მისცეს და კიევს დონბასის კონფლიქტის მოგვარებაში დაეხმაროს, — განაცხადა ამერიკელმა კონგრესმენმა, რესპუბლიკელმა დუნკან ჰანტერმა რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ უკრაინული სამსახურის კორესპონდენტ ტატიანა ვოროჟკოსათვის მიცემულ ინტერვიუში, — მაგრამ ამის ერთ-ერთი წინაპირობა ისაა, რომ კიევმა ყირიმზე უარი უნდა თქვას.

ამერიკელი კონგრესმენის აზრით, დონალდ ტრამპი ვლადიმირ პუტინთან მოლაპარაკებას ისე წარმართავს, რომ უკრაინაში სიტუაცია არ გართულდება. მოლაპარაკებაში უკრაინელებიც მიიღებენ მონაწილეობას, რადგან სწორედ ისინი უნდა წავიდნენ რუსეთისადმი დათმობებზე. **„მზად არის უკრაინა, რომ რუსეთს ყირიმი დაუთმოს? უკრაინამ უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ ყირიმში ბევრი რუსი ცხოვრობს, ბევრი ისეთი ადამიანი, რომლებიც საკუთარ თავს რუსეთთან აიგივებენ... უკრაინამ უნდა აღიაროს, რომ რუსეთს ყირიმში ისეთი სამხედრო ბაზა აქვს, რომ მასზე არასოდეს უარს არ იტყვის. რა სურთ უკრაინელებს — ის, რომ ამერიკა ყირიმში შეიჭრას (და მათ ნაცვლად იომოს)? ეს შეუძლებელია. როგორი გამოსავალი შეიძლება არსებობდეს? თუ რუსები ყირიმს არ დატოვებენ, მაგრამ მზად იქნებიან გავიდნენ აღმოსავლეთ უკრაინიდან, განა ეს ცუდია?** — ამბობს დუნკან ჰანტერი ინტერვიუში.

რაც შეეხება დასავლეთის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ამ შემთხვევაში, ამერიკელი კანონმდებლის აზრით, ევროპაში აგრესიის შეწყვეტის სანაცვლოდ, ვაშინგტონს შეუძლია მოსკოვს სირია დაუთმოს: **„თუ რუსეთი უკრაინიდან და საქართველოდან გავა, მაშინ ჩვენ მას უფლებას მივცემთ, სირიაში რაც უნდა ის აკეთოს... არ ვარ წინააღმდეგი, სირიაში პრეზიდენტად ისევ ბაშარ ასადი დარჩეს. გარდა ამისა, მოსკოვმა თავი უნდა დაანებოს ირანის მხარდაჭერას და ბალტიის ქვეყნების საზღვრებიდან ჯარი უკან უნდა დასწიოს“,** — აცხადებს დუნკან ჰანტერი „ამერიკის ხმის“ უკრაინული სამსახურისადმი მიცემულ ინტერვიუში.

გიორგი გახარია აშშ-ის ელჩს იან კელის შეხვდა

ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების საკითხები განიხილეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის გიორგი გახარიასა და ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის იან კელის შეხვედრაზე, რომელიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში გაიმართა. ეკონომიკის მინისტრის რანგში ეს გიორგი გახარიას აშშ-ის ელჩთან პირველი შეხვედრა იყო.

როგორც აღინიშნა, აშშ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია და ორივე ქვეყანა მნიშვნელოვნად არის დაინტერესებული თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებით ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებში. ელჩთან შეხვედრაზე გიორგი გახარიამ საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულ ეკონომიკურ რეფორმებზე ისაუბრა და იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს საინვესტიციო გარემო კიდევ უფრო საინტერესო და მიმზიდველი გახდება ამერიკელი ინვესტორებისთვის. მხარეებმა ასევე ისაუბრეს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობების განვითარების მნიშვნელობაზე.

დიმიტრი ქუმსიშვილის მოკლე ანგარიში მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებს...

პირველი ვიცე-პრემიერი, ფინანსთა მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი მსოფლიო ბანკის ჯგუფის ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანობის საკითხებზე მომუშავე გლობალური პრაქტიკის ჯგუფის დირექტორ სესილ ფრუმანს შეხვდა.

შეხვედრაზე საუბარი საქართველოს მაკროეკონომიკურ ვითარებაზე, საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლებსა და საინვესტიციო გარემოზე წარიმართა. მხარეებმა ასევე გაამახვილეს ყურადღება მსოფლიო ბანკის ჯგუფთან არსებულ და სამომავლო თანამშრომლობის მიმართულებებზე.

დიმიტრი ქუმსიშვილმა ვრცლად ისაუბრა საქართველოს მთავრობის ხედვებზე, აგრეთვე განხორციელებულ და დაგეგმილ რეფორმებზე, რომლებიც მიმართულია საქართველოში წარმოებული პროდუქციისათვის ახალი ბაზრების მოძიებაზე, საექსპორტო პოტენციალის ზრდასა და საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებაზე.

შეხვედრაზე ასევე განიხილეს მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიმდინარე პროექტები, რომლებიც მიმართულია სექტორულ დონეზე ინვესტიციების მოზიდვაზე, სტარტაპებისა და ინოვაციების ხელშეწყობაზე, საბაჟო და საგადასახადო რეფორმების გატარების ხელშეწყობაზე. აგრეთვე საუბარი წარიმართა ახალ პროექტზე, რომლის მიზანსაც ვაჭრობის განვითარება და ინვესტიციების ხელშეწყობა წარმოადგენს.

მხარეებმა განსაკუთრებულად განიხილეს საქართველოში ეროვნული ინოვაციური ეკონომიკის პროექტიც, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია მთელი ქვეყნის მასშტაბით ინოვაციების ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც გულისხმობს 2020 წლისთვის 8 რეგიონული ინოვაციების ჰაბების შექმნას დიდ ქალაქებში და 50 ინოვაციების ცენტრების შექმნას შემოგარენ სოფლებში.

◎ სოციუმი

კომუნალური ტარიფები არ გაძვირდება!

არადა, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების კომისიის ყოფილი თავმჯდომარე გურამ ჩალაგაშვილი ამბობს, რომ ეროვნული ვალუტის გაუფასურების გამო, ენერგოტარიფების ზრდა გარდაუვალია.

განსაკუთრებით ზამთარში ბაზარი დამოკიდებულია თბოსადგურების მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიაზე და იმპორტზე, რაც დოლარის კურსიდან გამომდინარე გაცილებით ძვირია. ჩალაგაშვილის თქმით, ტარიფის გაზრდა გარდაუვალია, წინააღმდეგ შემთხვევაში, თბოსადგურები ვერ იმუშავებს.

„რაც შეეხება გამანაწილებელ კომპანიებს — „თელასს“, „ენერგოპროს“ და „კახეთის ენერგოდისტრიბუციას“, ვფიქრობ, რომ კომპანიებს გაეზრდებათ შესასყიდი ელექტროენერგიის ღირებულება, რაც საბოლო ჯამში აისახება სამომხმარებლო ტარიფზე. დეკემბრის ბოლომდე უნდა მოხდეს სემეკში ტარიფების განხილვა და ვფიქრობ 1,5-2 თეთრით ზრდა გარდაუვალია, რომ სისტემა არ დაინგრეს“, — განუცხადა „კომერსანტს“ ჩალაგაშვილმა.

მისი განცხადებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანას მოუწევს გადავიდეს გრაფიკზე, რომ კომპანიებმა დაზოგონ შესყიდული ელექტროენერგია და ნაკლები წაგება მიიღონ. სემეკის ყოფილი თავმჯდომარის შეფასებით, სისტემა, შესაძლოა, საფრთხის წინაშე დადგეს, გახშირდეს ავარიები და ვიყოთ დამოკიდებული გრაფიკზე.

რაც შეეხება ბუნებრივი აირის ტარიფს — ჩალაგაშვილის თქმით, ეს ნაწილობრივ დარეგულირებული საკითხია, რაშიც კომისია ვერ ერევა, ანუ თავად კომპანიებს — „სოკარს“ და „ყაზტრანსგაზს“ — შეუძლიათ 2 კვირით ადრე გააფრთხილონ მომხმარებლები გაძვირების შესახებ და ამ პროცესში კომისია ვერ ჩაერევა.

ლარის გაუფასურების გამო თბოსადგურებმა ტარიფის ზრდის მოთხოვნით სემეკს გასულ წელს მიმართეს და დააანგარიშების შედეგად სამომხმარებლო ტარიფი მაშინ 3,95 თეთრით გაძვირდა. ამ ეტაპზე კი ტარიფის შესაძლო მატებას არც სემეკი და არც ენერგოკომპანიები არ ადასტურებენ.

„თელასის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში აცხადებენ, რომ ტარიფების მატება მოსალოდნელი არ არის. საბოლოო გადაწყვეტილებას მარეგულირებელი კომისია 31 დეკემბრამდე გამოაცხადებს.

ბექა დანელია





ᲓᲐᲘᲨᲚᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲬᲧᲐᲚᲨᲔᲛᲓᲒᲐᲠᲘ „ᲜᲐᲪ-ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ“?!

ᲔᲠᲗᲘ **დროს „ძლევამოსილ“ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთიანობას აშკარად წყალი შეუდგა. ამის ყველაზე მკაფიო ნიშანი ახლახან ჩატარებული პოლიტსაბჭოს სხდომა გახლდათ. საბჭოს ე.წ. „პრო-მიშისტურმა“ ჯგუფმა სულ რაღაც 1 ხმის უპირატესობით (25/24) დაამარცხა გიგა ბოკერიას დაჯგუფება. შესაბამისად, პარტიის ყრილობა შედგება იანვარში, მას დაესწრება 7000 დელეგატი და თავმჯდომარის პოსტი კვლავ ვაკანტური დარჩება, როგორც ეს „მიშისტებს“ სურდათ. პოლიტსაბჭოზე გიგა ბოკერიას და მის ჯგუფს რომ გაემარჯვათ, ყრილობა იქნებოდა დეკემბერში და მხოლოდ 2158 დელეგატით, პარტია აირჩევდა ახალ თავმჯდომარეს, სავარაუდოდ, დავით ბაქრაძეს, რომელიც დიდი ალბათობით ბოკერიასგან იქნებოდა მართული. ამით ოფიციალურად გაფორმდებოდა სააკაშვილის პარტიის ლიდერობიდან ჩამოშორება და მართვის სადავეების გადასვლა ბოკერიასა და მისი ჯგუფის ხელში. ასეა თუ ისე, პირველი რაუნდი სააკაშვილმა მოიგო და სხდომის შემდეგ თავის მიმართვაში საგანგებოდ „მოიკითხა“ ისინი, ვინც „პარტიისაგან მის დისტანცირებას“ გეგმავდა.**

საგულისხმოა, რომ „ნაცმოძრაობაში“ მიმდინარე პროცესებს არანაირად არ გამოეხმაურა ციხეში მყოფი პარტიის გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი. არ არის გამორიცხული, რომ ის პროცესებს აკვირდება და სათქმელს მაშინ იტყვის, როდესაც ამას ყველაზე დიდი ეფექტი ექნება.

„ნაცმოძრაობის“ მიშისტური ფრთის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ სწორედ სააკაშვილია პარტიისთვის ელექტორატის მოზიდვის მთავარი რესურსი.

ბოკერიას და მისი გუნდის მოსაზრებას, რომ ამ ეტაპზე სააკაშვილი პარტიისთვის უფრო ზიანის მომტანია და პარტიიდან მისი დისტანცირებით „ნაცმოძრაობა“ მერყევ ამომრჩევლებს მიიზიდავს, ეხმიანება „ნაცმოძრაობის“ ერთ დროს გავლენიანი „იდეოლოგის“ ლევან რამიშვილის წერილი. რამიშვილი ქართული პოლიტიკური სივრცის „სისტემური გადატვირთვის“ სასიცოცხლო აუცილებლობაზე, კრიზისში მყოფი პროდასავლური პარტიების ფუნდამენტურ ტრანსფორმაციასა და ახალი დემოკრატიული ძალის შექმნაზე საუბრობს. დიდი მიხვედრილობა არ სჭირდება იმას, რომ ამაში სწორედ ბოკერიას ეგიდით შექმნილი განახლებული „ნაცმოძრაობა“ მოიაზრება, რომელიც როგორც წერილში წერია, „არ იქნება „ეგომანიაკის“ პერსონალური ამბიციების იარაღი.“

და მაინც, არის სააკაშვილი „ნაცმოძრაობისთვის“ ამომრჩევლის მოზიდვის მთავარი და უცვლელი რესურსი, თუ პირიქით, მისი ფაქტობრივი ლიდერობა „ნაცმოძრაობას“ ამომრჩეველს აკარგვინებს?

დავუშვათ, რომ იმ 477 ათასმა ამომრჩეველმა, ვინც ოფიციალური მონაცემებით „ნაცმოძრაობას“ მხარი დაუჭირა, ეს შეგნებულად გააკეთა და არა მოსყიდვით თუ სხვა მანიპულაციებით. რადგან ამაზე კვლევა არ ჩატარებულა, არავინ იცის ზუსტად, არჩევნებზე „ნაცმოძრაობისთვის“ მათი მხარდაჭერა სააკაშვილთან იყო ასოცირებული, თუ კოლექტიურ „ნაცმოძრაობასთან“ თავის „ახალი“ და „ძველი“ სახეებით?

თუ არჩევნებზე სააკაშვილის ფაქტორი ნეგატიურ როლს თამაშობდა, როგორც ბოკერიას ფრთა მიიჩნევს, მაშინ რაში დასჭირდათ სასწრაფო წესით სააკაშვილის მეუღლის სანდრა რულოვსის ჩართვა საარჩევნო კამპანიაში? იმიტომ ხომ არა, რომ საარჩევნო კამპანია უფრო მეტად ყოფილიყო ასოცირებული სააკაშვილთან და მის დაბრუნებასთან გამარჯვების შემთხვევაში?

სააკაშვილი რომ ნებაყოფლობით გამიჯვნოდა „ნაცმოძრაობის“ საარჩევნო კამპანიას უკრაინის მოქალაქეობის და ოდესის გუბერნატორობის მომიზეზებით და სადავეები, ასე ვთქვათ, „კოლექტიური ნაცმოძრაობისთვის“ დაეტოვებინა, რამდენად შეძლებდა პარტია ამ რაოდენობის ელექტორატის აკრეფას? საქართველოში ჩატარებული ყველა სოციოლოგიური კვლევა ადასტურებს, რომ ამომრჩევლის სიმპათიები თუ მხარდაჭერა ამა თუ იმ პარტიის მიმართ ძირითადად ლიდერისადმი დამოკიდებულებით არის განპირობებული და პარტიული პროგრამაც ლიდერის პრიზმაში განიხილება თუკი საერთოდ განიხილება. რატომ უნდა ყოფილიყო გამონაკლისი ამ წესიდან „ნაციონალური მოძრაობა“? პარტიის საარჩევნო პროგრამაც და დაპირებებიც ამომრჩევლის თვალში სწორედ სააკაშვილზე პროეცირდებოდა, რომლის დაბრუნების მოლოდინშიც იყვნენ „ნაციონალების“ მხარდამჭერები.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ არც ერთ სოციოლოგიურ გამოკითხვაში არც ბოკერია და მისი ჯგუფის წევრები (დავით ბაქრაძის გამოკლებით) და არც მათ მიერ პარტიულ სიაში შემოყვანილი ე.წ. „ახალი სახეები,“ არ მოხვედრილან საზოგადოების მოწონების ან ნდობის ველში. ამიტომაც, დიდი ალბათობით „ნაცმოძრაობამ“ მისი სტაბილური ელექტორატის ხმების დიდი ნაწილი და მერყევი ამომრჩევლის მცირე სეგმენტი სწორედ სააკაშვილის და სანდრა რულოვსის აქტიური ჩართულობის მეშვეობით მიიღო. სანდრა რულოვსს კი, როგორც სააკაშვილის დესპანს, რეგიონიდან რეგიონში დაატარებდნენ აგიტაციისთვის, სადაც ის ფაქტიურად სააკაშვილს განასახიერებდა. მაშინ ბოკერია და მისი გუნდი დელიკატურ დუმილს ინარჩუნებდნენ.

ძალიან მყიფე და არადამაჯერებელია ბოკერიასა და მისი ჯგუფის არგუმენტები, რომ სააკაშვილის აგრესიულმა რიტორიკამ და რევოლუციისკენ მოწოდებებმა, დააფრთხო და გააღიზიანა ელექტორატის გადაუწყვეტელი ნაწილი. სინამდვილეში სააკაშვილის გამოხდომებმა ის გააკეთა, რომ „ქართული ოცნების“ პასიური ამომრჩევლის მობილიზებას შეუწყო ხელი. ბევრი მათგანი ვინც არჩევნებზე მისვლას არ აპირებდა, მივიდა და ხმა „ოცნებას“ მისცა იმის შიშით რომ „ნაციონალები“ არ მობრუნებულიყვნენ. სწორედ მათმა ხმებმა შეიტანეს საკმაო წვლილი „ნაციონალების“ დამარცხებაში. ხოლო მერყევი საარვისო ამომრჩეველი (40-45%), რომელსაც მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი არჩევნების ბოიკოტი, საკუთარი გადაწყვეტილების ბოლომდე ერთგული დარჩა და სააკაშვილის ფაქტორი მათზე ვერანაირ ზეგავლენას ვერ მოახდენდა.

საზოგადოება დღემდე მარჩიელობს, „ნაცმოძრაობაში“ დაწყებული რღვევის პროცესი (ჯერ ზურაბ ჯაფარიძის და მისი ოთხეულის , შემდეგ გიორგი ვაშაძის წამოსვლა და ბოლოს გიგა ბოკერიას და მისი ჯგუფის ბუნტი) შიდაპარტიული პროცესებით არის გამოწვეული, თუ გარედან ინიცირებული, როგორც ამას „მიშისტები“ ირწმუნებიან? ალბათ, ერთიც და მეორეც სხვადასხვა დოზით. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პარტიაში ბოლო დროს კულტივირებულმა კულუარულობამ და კლანურ-კლუბურმა მიდგომებმა, რომლებზედაც უჩვეულო გულახდილობით ისაუბრა თავის ვრცელ ინტერვიუში „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთმა აქტიურმა სახემ ჩიორა თაქთაქიშვილმა, დააჩქარა შიდა განხეთქილება.

ასეა თუ ისე, პარტიაში რღვევის პროცესი დაწყებულია და „ნაცმოძრაობა,“ რომელსაც შეუძლია წარბშეუხრელად გაასაღოს დამარცხება გამარჯვებად, დიდხანს ვეღარ შეძლებს პარტიაში მიმდინარე დაპირისპირების უბრალო აზრთა სხვადასხვაობად წარმოჩენას. ბოლოს და ბოლოს, პოლიტიკურ პარტიაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობის ლიმიტი, რომლის ამოწურვის შემდეგაც განსხვავებული პოზიციების მქონეთ ცივილური გაყრის გარდა არაფერი დარჩენიათ. შიდა პარტიულ ფრაქციულობას და დისიდენტების არსებობას „ნაცმოძრაობა“, ბუნებრივია, არ დაუშვებს და ამას არ დაუშვებს არც სააკაშვილი.

„ნაცმოძრაობაში“ დაწყებულ დაპირისპირებას შეიძლება ჰქონდეს ორი სცენარი.

პირველი : ბოკერიას დაჯგუფება ნებდება და აცხადებს, რომ პარტიის ერთიანობის გადასარჩენად დღის წესრიგიდან ხსნის პარტიის ახალი თავმჯდომარის არჩევის საკითხს და აღიარებს სააკაშვილს პარტიის ფაქტობრივ ლიდერად. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს შეფუთავენ ოლიგარქთან ბრძოლის, საქართველოს ევროატლანტიკური ვექტორის გადარჩენის და სხვა კეთილშობილური მოტივებით. თუმცა, ასეთი სცენარი ნაკლებსავარაუდოა. მხარეებმა დაპირისპირებაში უკვე საკმაოდ ღრმად შეტოპეს. თანაც, დამარცხებულის სტატუსით პარტიაში დარჩენა ბოკერიას პოლიტიკურ გავლენას მინიმუმამდე დაიყვანს.

მეორე: ხორციელდება სცენარი, რომლის მიხედვითაც, ბოკერია და მისი მომხრეები გადიან „ნაცმოძრაობიდან,“ თან მიჰყავთ პარტიის ე.წ. „ახალი სახეები,“ ქმნიან ახალ პოლიტიკურ მოძრაობას და შესაბამისად ახალ „ფრაქციას“ პარლამენტში. შესაბამისად, ორად გაიყოფა „ნაცმოძრაობის“ ელექტორატიც, აქედან გამომდინარე შედეგებით.

მართალია, გადამწყვეტი ბრძოლა ალბათ პარტიის ყრილობაზე შედგება, მაგრამ თუ პროცესები მეორე სცენარით წავიდა, „ნაცმოძრაობა“ მისი წინამორბედის — „მოქალაქეთა კავშირის“ ნაკვალევს გაჰყვება.

ᲖᲐᲐᲚ ᲐᲜᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲐᲨᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲐᲡᲪ 10 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲓᲔᲑᲐ!

ᲑᲘᲣᲠᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ 2017 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲡᲚᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲔᲒᲖᲐᲕᲜᲔᲑᲐ.

თბილისის მერმა დავით ნარმანიამ „იბერიას“ „ახალ ამბებს“ განუცხადა, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებულია 10% შემცირება, რაც გამოიწვევს სახელფასო ფონდის შემცირებასაც.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲖᲝᲒᲐᲕᲡ ᲯᲔᲯᲔᲚᲐᲕᲐ 27 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲡ?

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲯᲔᲯᲔᲚᲐᲕᲐᲡ განცხადებით განათლების სამინისტრომ პრემიებში მართლაც დახარჯა 2 მილიონი ლარი, მაგრამ მინისტრის განცხადებით, პრემიების გაცემა სამომავლოდაც იგეგმება. თუმცა მინისტრი ხარჯების შემცირებას სხვაგვარად გეგმავს, მინისტრი ადასტურებს, რომ თანამშრომლების გარკვეული რაოდენობა სამსახურს დატოვებს.

ჯეჯელავას თქმით, კადრები გათავისუფლდებიან,როგორც სამინისტროდან ასევე სამინისტროს დაქვემდებარებული სამსახურებიდანაც და შესაძლოა, რამდენიმე დეპარტამენტი საერთოდ გაუქმდეს.

ჯეჯელავას თქმით, ამას ითვალისწინებს პრემიერის 4-პუნქტიანი გეგმა და ბიუჯეტის პროექტი, რომლის მოთხოვნაა, ბიუროკრატიული ხარჯების 10% შემცირება.

„ჩვენ ყველას ერთიანი პოზიცია გვაქვს. პასუხს ვაგებთ მთლიანად მთავრობის 4-პუნქტიან გეგმაზე. რაც უკვე გაცხადებულია, ჩვენ ათი პროცენტით ნაკლებს დავხარჯავთ. აქ რამდენიმე მილიონზეა საუბარი, ჩვენი წილი აქედან 27 მილიონის მიდამოებში იქნება. ყველა, ვინც ხალხის ფულს ზედმეტად ხარჯავს, უნდა გავათავისუფლოთ.“ — ამბობს მინისტრი.

ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕ ᲒᲐᲨᲕᲔᲑᲐᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘᲪ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲨᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲨᲕᲔᲑᲐᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ, — აცხადებს უმრავლესობის წევრი ლევან გოგიჩაიშვილი.

განათლების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ განაცხადა, რომ ხარჯების 10% შემცირებას,რაც ოთხპუნქტიანი გეგმის ნაწილია, მოიცავს თანამშრომლების გათავისუფლებასაც. უმრავლესობის წევრი ამბობს, რომ შესაძლოა, მოხდეს გარკვეული ოპტიმიზაცია, მაგრამ ბიუჯეტის პროექტში ციფრი არ იცვლება.

„თუ არის დაგეგმილი რაიმე რეფორმები ოპტიმიზაციის, რესტრუქტურიზაციის მიმართულებით, შეიძლება ეს ვინმეს შეეხოს, მაგრამ მასობრივი დათხოვნები სამსახურებიდან არ იგეგმება“, — ამბობს გოგიჩაიშვილი.

ესპანეთში მხოლოდ ქურდობისთვის ჩადიოდნენ

გასულ კვირას ესპანეთში ბინების ქართველი ქურდების წინააღმდეგ მასშტაბური ღონისძიება ჩატარდა. დაკავებულია 61 პირი. ითვლება, რომ მხოლოდ მადრიდში ბინების წელს მომხდარი გაქურდვებიდან ნახევარი სწორედ ქართველების მიერაა ჩადენილი.

მადრიდის ზოგიერთი რაიონის, მაგალითად ალუჩეს, კარაბანჩელის, უსერას და ვალიეკასის მოსახლეობა ბოლო დროს მუდმივ შიშში ცხოვრობდა. ბარებსა და კაფეებში, სადაც ესპანელები ჩვეულებრივ თავისუფალ დროს ატარებენ, ბოლო პერიოდში სულ უხილავ ქურდებზე საუბრობდნენ, რომლებიც მარტივად აღწევენ ნებისმიერ ბინაში, სანამ პატრონი შინ არ არის, მიაქვთ ფული, ოქროულობა, საათები და უკვალოდ ქრებიან. საფუძვლები მსგავსი საუბრებისთვის საკმარისზე მეტი იყო: **მხოლოდ წლის პირველ კვარტალში უცნობმა ბანდამ დედაქალაქში 4,5 ათასზე მეტი ბინა გაქურდა.**

ყვება ერთ-ერთი დაზარალებული — იგნასიო აბად ტაპია:

— ზღვასთან დასვენების შემდეგ ბინაში შევედი და მაშინვე მივხვდი, რომ გამქურდეს. ამასთან, კარი მთელი იყო — ქურდებმა ის ჯერ გახსნეს და შემდეგ ჩაკეტეს. არადა, საკეტი ახლად გამოცვლილი მქონდა — სპეციალურად ძვირად ღირებული და სანდო დავაყენე, — ასე ვთვლიდი.

რა თქმა უნდა, მადრიდელებს ბოლო დრომდე თავშიც არ მოსდიოდათ, რომ მათ ქალაქში იმ შორეული ქვეყნიდან ჩასული ბანდა მოქმედებს, რომლის შესახებაც ბევრ ესპანელს არც კი სმენია. იმის შესახებ, რომ ქართველი ქურდების მოქმედებამ უზარმაზარი საზოგადოებრივი შფოთი გამოიწვია და მათ დაკავებასთან დაკავშირებულ სირთულეებზე ესპანეთის შსს-ში გამართულ ბრიფინგზე პოლიციის წარმომადგენელმა — უფროსმა ინსპექტორმა კარლოს დელ ვაიემ ისაუბრა:

— ცოტა ხნის წინათ ესპანეთში საერთოდ არ იყვნენ ქართული დანაშაულებრივი სამყაროს წარმომადგენლები და აი, მოულოდნელად მათი დიდი რაოდენობა ჩნდება. საუბარია პროფესიონალ დამნაშავეებზე, რომლებიც აქ ერთადერთი მიზნით ჩამოდიან — ქურდობისთვის. ამასთან, ისინი მცირე ხნით ჩნდებიან — მხოლოდ რამდენიმე თვით, შემდეგ უჩინარდებიან. მათ ადგილს სხვები იკავებენ. ანუ საუბარია მუდმივად გადაადგილებად ჯგუფებზე. მათთან საბრძოლველად მოგვიწია, სპეციალური გეგმა შეგვემუშავებინა, რათა მათი ქმედებებისთვის რაც შეიძლება, სწრაფად მოგვეღო ბოლო.

პოლიციელები მოყვნენ იმას, თუ როგორ მოქმედებდნენ ქურდები, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა მათ მაღალ პროფესიონალიზმზე. მაგალითად, თავდასხმის ობიექტად ისინი ქალაქის არცთუ მდიდრულ რაიონებს ირჩევდნენ, ვინაიდან იქ სახლებში, როგორც წესი, კონსიერჟები არ სხედან. ქურდები 4-კაციან ჯგუფებად მოქმედებდნენ: ორი ქუჩაში რჩებოდა, რათა პოლიციის გამოჩენის შემთხვევაში მობილური ტელეფონის მეშვეობით გაეფრთხილებინათ ბინაში მყოფი თანამზრახველები. კარზე რამდენჯერმე დარეკვის მეშვეობით ბოროტმოქმედები რწმუნდებოდნენ იმაში, რომ პატრონი შინ არ იყო, წამებში აღებდნენ ნებისმიერ საკეტს და თიშავდნენ სიგნალიზაციას.

„ეს ჩვენების მსგავსი ქურდები არ არიან, რომელთაც ურო სჭირდებათ. ქართველები არანაირ კვალს არ ტოვებენ. ამასთან, ისინი ადვილად უმკლავდებიან დაჯავშნილ კარსაც კი და რამდენიმე ყველაზე რთულ საკეტს. ასე, რომ მეპატრონეები სახლში დაბრუნების შემდეგ თავიდან ვერაფერს ამჩნევდნენ“, — ამბობს კრიმინალისტი ფრანსისკო გომესი.

Იმას, რომ საუბარია არა ცალკე მოქმედ დამნაშავეებზე, არამედ კარგად ორგანიზებულ დაჯგუფებაზე ავტორიტეტული ლიდერებით, შესაბამისი იერარქიითა და თითქმის სამხედრო დისციპლინით, ესპანური პოლიცია გამოძიების დასაწყისშივე ხვდებოდა. გამოძიება კი 2015 წლის ზაფხულში დაიწყო. თუმცა დანაშაულებრივი სქემის მალევე გაშიფრვა ვერ მოხერხდა. საქმის სირთულეებზე პოლიციის ოფიცერი ხუან რუედა საუბრობს:

— საქმე მხოლოდ ნივთმტკიცებების მოპოვებაში არ იყო... ჩვენ უფრო მეტად ქურდების კავშირები და ის დავალებები გვაინტერესებდა, რომლებსაც ლიდერებისგან იღებდნენ, — ჩვენ ხომ მთელი დანაშაულებრივი ქსელის ლიკვიდაციას ვისახავდით მიზნად. ასე, რომ პოლიცია, უპირველესად, იმის მტკიცებულებებს ეძებდა, რომ საქმე გვქონდა მსხვილ და კარგად ორგანიზებულ ბანდასთან. თუმცა მათი პოვნა მარტივი არ აღმოჩნდა.

ყველაფრის მიუხედავად, დროთა განმავლობაში ესპანურმა პოლიციამ მიზანს მიაღწია. დაჯგუფების დამაარსებელი ქუთაისის 44 წლის მკვიდრი, „კანონიერი ქურდი“ ზვიად დარსაძე აღმოჩნდა. იგი უკვე წელიწადზე მეტია, ციხეშია — არა ქურდობათა ორგანიზების, არამედ დასავლეთ ევროპის არაერთ ქვეყანაში მოქმედი ქართული დანაშაულებრივი დაჯგუფების ფულის გათეთრებისთვის. ესპანელების აზრით, დარსაძე ამ დაჯგუფების „მაყურებელი“ იყო. ქურდების ამჟამინდელ ლიდერად კი სხვა „კანონიერი ქურდი“ — სპარტაკ ჯაფარიძე ითვლება. იგი საერთაშორისო ძებნაშია გამოცხადებული: არსებობს მონაცემები, რომ ჯაფარიძე იტალიას აფარებს თავს. პოლიციას ხელში ჩაუვარდა, კერძოდ, დოკუმენტები, რომელიც მოწმობს, რომ ქურდობებით მიღებული მოგების ნაწილი ე.წ. „ობშიაკში“ მიემართებოდა. და ეს სწორედ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის არსებობისთვის დამატებით მტკიცებულებად იქცა, — აღნიშნავს პოლიციის თანამშრომელი ემილიო გომესი:

— ორგანიზაცია საერთო სალაროს გარეშე ვერ იმოქმედებდა. მისი არსებობა მსგავსი დაჯგუფებების ერთ-ერთი მთავარი ნიშან-თვისებაა. საერთო სალაროდან იხდიან, მაგალითად, თანხებს დაკავებული ქურდების ადვოკატებისთვის.

პოლიციელებმა ჟურნალისტებს ისიც უამბეს, რომ დაჯგუფების წევრებს თანამზრახველები ჰყავდათ — ესპანეთში მუდმივად მცხოვრები თანამემამულეები. ისინი ახალჩასულების დაბინავებით, ტრანსპორტითა და სპეცინსტრუმენტებით უზრუნველყოფით იყვნენ დაკავებულები. ამ ყველაფერს სხვა 60 ქართველთან ერთად დაკავებული რომან ჩალაძე ხელმძღვანელობდა, ხოლო ნაქურდალის გასაღებას, ესპანური პოლიციის მონაცემებით, მერაბ ტოროშელიძე კურირებდა.

დაჯგუფების წევრებს, რომლებიც არა მარტო მადრიდში, არამედ ბარსელონაში, ალიკანტეში, ბარაკალდოსა და სევილიაში დააკავეს, ბრალს ესპანური სს კოდექსის შემდეგი მუხლებით უყენებენ: დანაშაულებრივი თანამეგობრობის წევრობა, ქურდობა, სხვისი საკუთრების ტერიტორიაზე უკანონო შეღწევა და ნაქურდალის გასაღება. გარდა ამისა, ისინი ფინანსური დოკუმენტების ფალსიფიკაციასა და მოგების საერთაშორისო სააგენტოების მეშვეობით ესპანეთის ფარგლებს გარეთ გაგზავნაში არიან ბრალდებულები.

„ფულს თავისი სახელით არასოდეს აგზავნიდნენ, ცდილობდნენ, კვალი არ დაეტოვებინათ. იყენებდნენ ყალბ საბუთებს ან მესამე პირებს — ვინმეს ესპანეთის ქართული დიასპორიდან. ამ უკანასკნელებს ამისათვის გარკვეულ პროცენტს უხდიდნენ. ფული საქართველოში იგზავნებოდა“ — ყვება უფროსი ინსპექტორი ალბერტო კორდევილია.

თუმცა როგორც ესპანელმა სამართალდამცველებმა განმარტეს, თანხების ნაწილი რუსეთშიც გაედინებოდა. ესპანეთში მოქმედი ქართველი დამნაშავეების რუსეთთან კავშირები და, ამასთანავე, ის ფაქტი, რომ ზოგიერთ მათგანს რუსეთის მოქალაქეობა აქვს, ესპანელებს ტერმინის „რუსულ-ქართული მაფია“ გამოყენების საფუძველს აძლევს. მაგალითად, შეისწავლეს რა დარსაძის კავშირები, მათ დაადგინეს, რომ იგი პოსტსაბჭოთა სივრცის ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ „კანონიერ ქურდს“ — ზაქრო კალაშოვს ემორჩილებოდა. ეს უკანასკნელი ივლისში რუსი სამართალდამცველების მიერ დაკავებამდე მოსკოვში მოღვაწეობდა.

„რადიო თავისუფლება“

ქართველი მძარცველები ევროპაში და მათი კავშირები რუსეთთან

„ნიჩბურა“ სოკოს წარმოებას იწყებს

სასოფლო-სამეურნეო **კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი მიშელაძე მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სასხორში კოოპერატივ „ნიჩბურას“ მეპაიეებს შეხვდა.**

კოოპერატივის თავმჯდომარის გიორგი ლომოურის განცხადებით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი სოკოს წარმოებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკითაა აღჭურვილი. სოკოს ბრიკეტიდან მოყვანის ტექნოლოგია მიახლოებულია ბუნებრივ პირობებთან და პროდუქტის მოკრეფა, შეფუთვა, შენახვა სტანდარტების დაცვით ხორციელდება. ე.წ. „კალმახა სოკოს“ სარეალიზაციო არეალი ადგილობრივი ბაზარია. კოოპერატივში 6 მეპაიეა გაერთიანებული. საწარმოს განვითარებისთვის მოზიდული ინვესტიცია 48 000 ევროს შეადგენს.

მასშტაბური სანიტარიული ჭრები თბილისის შემოგარენში

მავნებლებით **დაავადებული და გამხმარი ხეების მოჭრის სამუშაოები ამჟამად ბეთანიაში, ბეთანია-სამადლოს ცენტრალური გზის მიმდებარე ტყის მასივებში მიმდინარეობს. ფიჭვნარ კორომებში უკვე მონიშნულია 15 ათასი გამხმარი და დაავადებული ხე, რომელთა მოჭრისა და გამოტანის სამუშაოებს ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის კონტრაქტორი კომპანია შპს „უნივერსალ მენეჯმენტი“ უზრუნველყოფს.**

მიმდინარე წელს 55 ათასი ძირი დაზიანებული ხე-მცენარე მოინიშნა, საიდანაც 40 ათასი მოიჭრა. აღნიშნული ღონისძიებები კომპლექსურად ხორციელდება და გრძელვადიან შედეგებზეა გათვლილი. იგი მნიშვნელოვნად შეზღუდავს დედაქალაქის მასშტაბით მცენარეთა მავნებელი დაავადებების გავრცელებას და, შესაბამისად, მცენარეული საფარის ხმობას. 2013-2015 წლებში ქართველი და უცხოელი ექსპერტების კვლევებზე დაყრდნობით თბილისის შემოგარენის ფიჭვების კვლევისას დაფიქსირდა შემდეგი მავნებლები: ქერქიჭამიები, ლაფნიჭამიები და ხარაბუზები, აგრეთვე დაავადებების გამომწვევი სოკოები, რომელთაც დააჩქარეს დასუსტებული ხეების ხმობის პროცესი.

ჩინელები მარნეულის სასათბურე კომპლექსს ესტუმრნენ

სოფლის **მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორმა ლევან უჯმაჯურიძემ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჰუნანის პროვინციის სოფლის მეურნეობის ჯგუფის ლიდერებმა მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ შულავერში, საქართველო-ჩინეთის ტექნიკური თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში აშენებული სადემონსტრაციო სასათბურე კომპლექსი დაათვალიერეს.**

ჰუნანის პროვინციის სოფლის მეურნეობის ჯგუფის მიერ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კუთვნილ 5 ჰექტარამდე მიწის ფართობზე 7 დიდი და 25 პატარა ერთსივრციანი მზის სათბური აშენდა, სადაც ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების გამოცდა მიმდინარეობს.

„ახალი ტექნოლოგიებით აშენებულ და აღჭურვილ სათბურებში ქართველი ფერმერები და ტექნიკოსები, ჩინელი ექსპერტების დახმარებით, ბოსტნეული კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიების მიმართულებით პრაქტიკულ სასწავლო კურსს და გადამზადებას გადიან. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს როგორც სასათბურე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობას, ასევე საქართველოსა და ჩინეთის რესპუბლიკას შორის თანამშრომლობის გაღრმავებას“, — განაცხადა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორმა ლევან უჯმაჯურიძემ.

სიბრიყვესთან წილნაყარი დილეტანტობა,

ანუ „ჩვენ გვჭირდება ახალი რწყილი“



სიბრიყვე და დილეტანტობა უცხო როდია კაცობრიობისთვის. ბრიყვებისა და დილეტანტების ნაკლებობას არც შორეულ წარსულში უჩიოდა ვინმე და არც ახლა წუხან ამაზე, თვით ყველაზე განვითარებულ ქვეყნებშიც კი; ჩვენში ხომ მით უფრო არავის ეტყობა წუხილი და შეშფოთება. ანდა რატომ უნდა წუხდნენ და შფოთავდნენ ამის გამო, ნეტავი? მართალია, ერთი სულელი ბრიყვი ყველა სოფელს, მით უფრო ქალაქს, აუცილებლად სჭირდებაო, ნათქვამია, მაგრამ ამ მხრივ თვით უმძიმესი დეფიციტის პირობებშიც კი პოულობდნენ გამოსავალს ჩვენი შორეული თუ ახლო წინაპრები. მაშინ, როდესაც ბრიყვი სულელების მწვავე ნაკლებობას იგრძნობდა ხალხი და სიცილის მიზეზი საძებარი შეიქმნებოდა, საქართველოს ცალკეულ კუთხეებში, ქართლში, კახეთში, სამეგრელოში, გურიასა თუ რაჭაში, ერთ რომელიმე სოფელს დაარქმევდნენ ბრიყვების სახელს, მათზე იგონებდნენ ათასნაირ სისულელეს და მერე მთელი საქართველო ერთად იცინოდა ამაზე. მარტო ქართველები კი არ იქცეოდნენ ასე. ჩვენი ახლო თუ შორეული მეზობლებიც გვარიანად ღადაობდნენ მათ მიერვე გამოგონილ სულელ და ბრიყვ თანამემამულეებზე.

ეს წარსულში იყო!

ახლა გონიერების დეფიციტია სახადივით მოდებული ჩვენში და სხვაგანაც. ჭკვიანი კაცები სანთლით საძებარნი გამხდარან, თორემ სულელები ხომ ყველგან არიან. ამერიკული პოლიტიკის პატრიარქი, 90 წელს გადაცილებული, მაგრამ ჯერ საღ გონებაზე მყოფი ზბიგნევ ბზეჟინსკი ამას წინათ წუხდა, გონიერი პოლიტიკოსების დიდი ნაკლებობააო დღეს. სულ არ არიან ჭკვიანი პოლიტიკოსებიო, არ უთქვამს, ნაკლებობააო დიდი და ეს მაწუხებსო სწორედ. თანაც, გონიერი პოლიტიოკოსების ნაკლებობას უჩივის ის კაცი, თორემ სხვა დარგებში რომ უჭირდეთ, არც ამის თქმა მოერიდებოდა. ეეჰ! ამერიკას რა უჭირს! იქ ერთ დიდ კაცს მაინც აწუხებს გონიერების ნაკლებობა, ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ? აქ ხომ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გონიერების ნაკლებობა კი არა, უვიცობა და სიბრიყვეა გაჯეჯილებული, მცირემცოდნე დილეტანტები კი უმნიშვნელოვანეს დარგებს უდგანან სათავეში. ვინმე „დიდ კაცს“ თუ გამოუთქვამს ამის თაობაზე წუხილი, ნეტავი? არავის! აგერ ახლა „დიდი კაცი“ ბრჭყალებში იმიტომ ჩავსვი, რომ დიდი თანამდებობის კაცებს ვგულისხმობდი და რადგან დიდ თანამდებობაზე დღეს ნამეტნავად პატარა კაცები სხედან, ამიტომ ჩავსვი ბრჭყალებში!

სხვები წუხან, სხვები იმ „დიდი“ პატარა კაცების საწუხარს — ნამდვილი მწერლები და ნამდვილი პუბლიცისტები, სამსახურიდან გამოძევებული და „ჩარეცხილი“ პროფესიონალები, აღარავისთვის საჭირო და სულელების საცინრადასაგდები მეცნიერები, პატრიოტი რიგითი ადამიანები. მერე და, რა? არც არაფერი! თავიანთი ოკეანისგაღმელი პატრონების ტანკში შემძვრალი და იმავე ოკეანისგაღმელი ელჩის ძუძუნაწოვ გოგო-ბიჭებს საქართველოს გულშემატკივართა საწუხარს როგორ გააგებინებ? წერა-კითხვის უცოდინარი ბებიაჩემი ოლღა არევაძე უფრო ადვილად გაიგებდა ბოილ-მარიოტის კანონს, ვიდრე ესენი გაიგებენ საქართველოს ეროვნულ სატკივარს.

იმის მიუხედავად, რომ საქართველოს ხელისუფლების მაღალი ეშელონების მსხვილ-მსხვილი წარმომადგენლების მიერ ჩადენილი სიბრიყვის ბევრი მაგალითი ვიცი, ამჯერად, მხოლოდ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ სფეროზე ვეცდები, მივმართო მკითხველის ყურადღება. ეს არის განათლების დარგი, რომელიც იმდენად საყოველთაოა, იმდენად მრავალფეროვანი პრობლემატიკის მომცველია, რომ ცალკე დარგად მისი მოხსენიება, იქნებ, არც იყოს მართებული. მთელი ჩვენი აწმყო და მომავალი ხომ ხალხის განათლების მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ჰო და, საგანმანათლებლო საქმე დარგი კი არა, ჩვენი არსებობის შინაარსია!

ეს მართლაც ასეა (ასე იყო აქამომდე!) ყველგან — მოწინავე ქვეყნებშიც და იქაც, რომლებიც კაცობრიობის კუდში მიჩანჩალებენ, მაგრამ მომავალში არსებობის პრეტენზია და სურვილი აქვთ. ამიტომ, განა სიბეცე და უგუნურება არ არის, რომ საგანმანათლებლო საქმე დილეტანტსა და ბრიყვ კაცს მიანდო? არა და, დიდი ხანია, სწორედ ამგვარი კაცების ხელშია საქართველოს განათლების და... მეცნიერების საქმე. ჰო-ჰო! განათლების მინისტრი ჩვენში, ამავე დროს, მეცნიერების მინისტრიც არის! ჯერ ერთი, მეცნიერებას მინისტრი რად უნდა, ნეტავი? მეცნიერება რომ უნდა და უნდა უნდოდეს კიდეც მინისტრს, გასაგებია, მაგრამ მეცნიერებას როგორ უნდა უმინისტროს ვინმემ, მით უფრო იმან, ვისაც მეცნიერებაზე ბუნდოვანი წარმოდგენაც კი არ აქვს! არა და, ორიოდე კაცის (ქალიც კაცია!) გამოკლებით, სწორედ ასეთი მინისტრები გყვანან ბოლო ათწლეულებში! ახლა, დიდი ილიას თქმისა არ იყოს, „მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი“ და დღევანდელსა და ხვალინდელ დღეზე ვიფიქროთ!

საქართველოს მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცებამდე ოფიციალურად და არაოფიციალურად გავრცელდა აზრი იმის თაობაზე, რომ მინისტრების ერთ ნაწილს ამჯერად ხელს არ ახლებენ და ისინი ახალ მთავრობაშიც შეინარჩუნებენ სავარძლებსო. ამ „ხელშეუხებლებში“ განათლების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავაც იყო და დარჩა კიდეც „თავის ადგილზე“.

რა თვისებები გამოავლინა ამ კაცმა ამ მოკლე დროში ისეთი, რომ „ახალმა“ პარლამენტმაც უყოყმანოდ დაუჭირა მხარი უპირველესი მინისტრის პოსტზე, მართლაც გამორჩეულ პიროვნებას, ალექსანდრე ჯეჯელავას? „გამორჩეულს“- მეთქი ვთქვი, მაგრამ ის არ მითქვამს - რითი. რითი და ამ პოსტისათვის შეუფერებელი აზროვნებით! მისი ის მოსაზრებანი, რაც მან საჯაროდ გამოთქვა განათლების პრობლემებთან დაკავშირებით, სხვაგან და სხვა ვითარებაში შეიძლება საყურადღებოც არ ყოფილიყო, მაგრამ განათლების მინისტრთან დაკავშირებით იგი სრული სიბრიყვე და პიტალო დილეტანტობაა. რამდენჯერ პირი გააღო საჯაროდ, იმდენი სიბრიყვე წამოაყრანტალა და ეს ჩაუთვალა ჩვენმა არჩეულმა რჩეულმა უმრავლესობამ ღირსებად და ხელშეუხებლობის ფირმანი უბოძა ჯეჯელავას? არ ვიცი, არ ვიცი!

მინდა, ვიყვირო (გულის მოსაფხანად, თორემ ხელისუფლებას რას გავაგონებ!): საქართველოს განათლების სისტემა, იმათ, ვინც მის ხელმძღვანელ კადრებს არჩევს და ნიშნავს კიდეც მინისტრებად, თავიანთი ბოსტანი ხომ არ ჰგონიათ? გონიერი მებოსტნე, საკუთარ ბოსტანში მწვანილის მოსაკრეფადაც კი არ შეუშვებს უგუნურსა და სულელ კაცს იმის შიშით, არ წამიხდინოსო ბოსტანი. ჰო და, რასაც ესენი სჩადიან, უარესი კი არ უქნიათ ნაცებს! შაშკინმა თუ სისულელეები აკეთა, რომლის შედეგები ჯერ კიდევ არ არის საცნაური, ჯეჯელავაც ჯერჯერობით მხოლოდ ლაპარაკობს (სისულელეებს, რა თქმა უნდა!) და თუ დასცალდა, ლაპარაკიდან საქმეზე გადავა და მერე...

კიდევ დაქცევა და გაწყალება უნდა ჩვენს, ისედაც დაქცეულ და გაწყალებულ განათლების საქმეს? იმის მაგივრად, რომ განათლების ახლად დანიშნული მინისტრი იმაზე დაფიქრებულიყო, ვის ზრდის და როგორ ზრდის ჩვენი სკოლა, იქნებ გარკვეულიყო განათლების სისტემის სოციალურ ფუნქციაში, რაზე ლაპარაკობს და რა პრობლემებს ხედავს მისი სამინისტრო თვალები? კომბლესა და მის კომბლებს ხედავს! მეტი ხედვა და ფიქრი არ იცის ამ კაცმა და რას დაინახავს, აბა!

უცოდინარი კაცი რომ რაიმე საქმის სათავეშია, მოსაწონი არ არის, მაგრამ მცირე მცოდნე, ანუ დილეტანტი — უბედურებაა! დილეტანტმა ყურმოკრულად იცის რაღაც-რაღაცები. ამ ყურმოკრული ცოდნის ნაგლეჯებს, მართალია, ერთმანეთთან ვერ აკავშირებს, მაგრამ ცოდნის ილუზია კი ექმნება. ამას თუ მინისტრობის თვითგანცდა და შესაბამისი ამბიციებიც დაემატა, მიდი და ეკამათე ასეთ კაცს!

ნახევარი ცოდნა უცოდინრობაზე უარესიაო, — ნათქვამია. უცოდინარი კაცი არ შეგედავება მაინც. იგი სხვისი ან სხვათა რჩევით გააკეთებს რაიმეს (ავად ან კარგად!), საკუთარ ინიციატივას არ და ვერ გამოიჩენს. დილეტანტი კი შეიძლება ენთუზიაზმით იყოს აღსავსე და არც აქტივობა აკლდეს. რას შვრები მაშინ? აი, სწორედ ასეთი დილეტანტია ჩვენი განათლებისა და, უკაცრაული პასუხია, მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა.

„ჩემი აზრით, სკოლა უნდა გავხადოთ უფრო საინტერესო, — განუცხადებია ჯეჯელავას ერთ წარმომადგენლობით შეხვედრაზე, — და ეს ჩემი მიზანიცაა“. უყურე შენ! ჩემი აზრითო! შენი აზრით კი არა, მთელი კლასიკური პედაგოგიკა იმას ცდილობდა, სკოლა „უფრო საინტერესო“ გამხდარიყო. ალექსანდრე ჯეჯელავასგან განსხვავებით, პედაგოგიკის კლასიკოსებმა იცოდნენ, როგორ გაეხადათ სკოლა „უფრო საინტერესო“. ჯეჯელავამ თუ იცის ეს? მეეჭვება!

სად იყო ინტერნეტი, როდესაც 400 წლის წინათ იან ამოს კომენსკი უკვდავ მითითებას გვაძლევდა: „ბავშვის გონება ჭურჭელი კი არ არის, რომელიც უნდა აავსო, ჩირაღდანია, რომელიც უნდა აანთოო!“... XX საუკუნეში კი დიდმა ფსიქოლოგებმა პიაჟემ და ვიგოტსკიმ განმავითარებელი სწავლების იდეები დაამკვიდრეს და გვითხრეს, სწავლება აზროვნების განვითარებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. პიაჟესა და ვიგოტსკის ერთ-ერთი პირველი მიმდევრები სწორედ საქართველოშო იყვნენ, მაგრამ განათლების ხელმძღვანელთა არაპროფესიონალიზმისა და დილეტანტობის გამო, ამ საქმეში ჩვენ სხვებს ჩამოვრჩით. იცის ეს ყველაფერი ჩვენმა მინისტრმა ჯეჯელავამ? სამწუხაროდ, წარმოდგენაც არა აქვს ამაზე!

რატომ მეეჭვება?

„არსებობს მოსაზრება, რომ განათლება მასწავლებელმა სწორად უნდა მიაწოდოს“, — უბრძანებია მინისტრ ჯეჯელავას ტექნიკურ უნივერსიტეტში გამოსვლისას. ჯერ „განათლების“ მიწოდება ვინ გაიგონა და ეს თუ ვინმემ შეძლო, იქნებ ისიც გვითხრას, „განათლების სწორად მიწოდება“ რას ნიშნავს? მტერი არ არის მეტი, ეს ვერავინ აგვიხსნას. ამის მთქმელს პედაგოგიკის და განათლების მეცნიერების ცოდნა კი არა, პედაგოგიკის ტერმინოლოგიის ელემენტარულ ცოდნაზეც კი არ უნდა ჰქონდეს პრეტენზია!

ამ შემთხვევაში დილეტანტობა რაში გამოიხატება, იცით? სკოლა რომ საინტერესო უნდა გახდეს, ეს ამოცანა რეალურია და ჯეჯელავამაც იცის ეს, მაგრამ ეს რომ თავისი აზრი ჰქონია, ეს არის დილეტანტობა, ხოლო „სკოლის საინტერესოდ გახდომა“ რომ პერმანენტული პროცესია, ეს აშკარად არ იცის მან.

აი, ჩვენი განათლების მინისტრის მიერ დასმული ერთი დილეტანტური რიტორიკული კითხვა: **„იქნებ ამიხსნათ, რატომ უნდა იცოდეს ბავშვმა ქართული ნაწარმოებებიდან საზეპიროები?“**

ეს კითხვა იმიტომ არის რიტორიკული, რომ მინისტრი მასზე პასუხს არ ელოდება. მან ეს პასუხი იცის: ვერავინ აუხსნის იმას, რასაც იგი ითხოვს.

მართლაც, ამ კითხვას პასუხი არა აქვს, რადგან, პედაგოგიური თვალსაზრისით, კითხვა ბრიყვულად არის დასმული.

პედაგოგიური თვალსაზრისით, ჯეჯელავს რიტორიკული კითხვა დილეტანტურ-ბრიყვულია იმიტომ, რომ ულოგიკოა: არ ვიცით, რომელი კლასის მოსწავლეა ნაგულისხმევი, რომელი ნაწარმოები აქვს მხედველობაში კითხვის ავტორს. ამასთან, არც ის ვიცით, რისი გარკვევა უნდა მინისტრს: რატომ უნდა იცოდეს ბავშვმა რომელიმე საზეპირო, თუ რატომ ავალებენ ბავშვს ზეპირად დაისწავლოს ესა თუ ის ტექსტი. რატომ უნდა იცოდეს ბავშვმა ესა თუ ის ლიტერატურული მასალა ზეპირად, არც არავის საქმეა და ვერც ვერავინ ახსნის ამას, ხოლო რატომ ევალება ბავშვს რაღაცის ზეპირად სწავლა, ამაზე შეიძლება მსჯელობა, თუმცა ამ შემთხვევაშიც მსჯელობა გამორიცხულია, რადგან დიდი ეჭვი მაქვს, რომ ალექსანდრე ჯეჯელავამ შეიძლება, არც კი იცოდეს, როდის მთავრდება ბავშვობის ასაკი.

მინისტრის მიერ დასმული რიტორიკული კითხვის აბსურდულობას რომ თავი დავანებოთ, ისიც რომ დავივიწყოთ, რამდენად აუცილებელია განათლების მინისტრისთვის პედაგოგიკის ძირითადი ცნებების ელემენტარულ დონეზე ცოდნა მაინც, ამ კითხვას რომ დილეტენტური სიბრიყვეები მოაყოლა, ამას რაღას ვუზამთ?

„სინამდვილეში საზეპიროებს მეხსიერების განვითარებისათვის ასწავლიან, ვინაიდან უწინ, ინტერნეტამდე, მეხსიერება იყო და შესაბამისად, ეს საჭიროც იყო, ახლა კი აღარ სჭირდებათ, მაგრამ ინერციით, ასე ვთქვათ, „რაზგონით“ მაინც ავითარებენ“, — უთქვამს მინისტრს...

„ძველი სკოლა იყო მეხსიერების სკოლა. ინტერნეტის გაჩენამდე სკოლის ერთ-ერთი ამოცანა მეხსიერების განვითარება იყო. თანამედროვე სკოლა არის აზროვნების სკოლა“ — დასძინა მინისტრმა ჯეჯელავამ, თურმე (სტილი დაცულია ინტერნეტში განთავსებული ტექსტების მიხედვით!).

აი, წეღან რომ ვთქვი, დილეტანტთან კამათი ძნელია-მეთქი, სწორედ ის შემთხვევაა ახლა. ამ ჩვენს მინისტრს რაღაც-რაღაცები კი გაუგონია, მაგრამ იმ ერთი გამონათქვამისა არ იყოს, „თავი საით უქნეს, ეს არ იცის“. ძველი სკოლა მართლაც ორიენტირებული იყო ცოდნის დაგროვებაზე და არა მეხსიერების განვითარებაზე, როგორც ეს ჯეჯელავას ჰგონია. ცოდნის დაგროვებაზე მიმართული სწავლება, ცხადია, უპირატესად მეხსიერების განვითარებას იწვევს (ამაში ჩვენი მინისტრი მართალია!). ეს განსაკუთრებით ითქმის XIX საუკუნისა და XX საუკუნის პირველი ნახევრის სასკოლო განათლებაზე. ამას ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზები ჰქონდა, მაგრამ კლასიკური პედაგოგიკა პრიორიტეტულად სწორედ სააზროვნო (შემეცნებითი) უნარების განვითარებაზე ზრუნვას მიიჩნევდა. სად იყო ინტერნეტი, როდესაც 400 წლის წინათ იან ამოს კომენსკი უკვდავ მითითებას გვაძლევდა: **„ბავშვის გონება ჭურჭელი კი არ არის, რომელიც უნდა აავსო, ჩირაღდანია, რომელიც უნდა აანთოო!“** XX საუკუნეში კი დიდმა ფსიქოლოგებმა პიაჟემ და ვიგოტსკიმ განმავითარებელი სწავლების იდეები დაამკვიდრეს და გვითხრეს, სწავლება აზროვნების განვითარებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. პიაჟესა და ვიგოტსკის ერთ-ერთი პირველი მიმდევრები სწორედ საქართველოშო იყვნენ, მაგრამ განათლების ხელმძღვანელთა არაპროფესიონალიზმისა და დილეტანტობის

გამო, ამ საქმეში ჩვენ სხვებს ჩამოვრჩით. იცის ეს ყველაფერი ჩვენმა მინისტრმა ჯეჯელავამ? სამწუხაროდ, წარმოდგენაც არა აქვს ამაზე!

ეს ასეა, მაგრამ მთავარი არ იცის ჩვენმა ენერგიულმა მინისტრმა: აზროვნების განვითარება სრულიად წარმოუდგენელია მეხსიერების განვითარების გარეშე. ინტერნეტი კარგია, მაგრამ ადამიანური მეხსიერების ფენომენთან მას კავშირიც კი არა აქვს. მინისტრმა ჯეჯელავამ ეს რომ გაიგოს, ფსიქოლოგიის მოკლე კურსი მაინც უნდა შეისწავლოს, თორემ აზროვნების, მეხსიერებისა და ინტელექტის ურთიერთკავშირს ვერაფერს გაუგებს და ისეთივე დილეტანტად დარჩება, როგორიც ახლაა. განათლების საქმეში, რა თქმა უნდა, თორემ სხვა მხრივ, იქნებ, რაიმე საქმის პროფესიონალიც კი არის.

ახლა ერთ ციტატას მოვიყვან პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში მინისტრ ჯეჯელავას გამოსვლიდან, რომელიც არც დილეტანტობისა და არც სიბრიყვის მაგალითად არ გამოდგება, მაგრამ რა ჰქვია ამას, კარგად მეც არ ვიცი. უცოდინარობაა, თუ ინტელექტუალური თავხედობა, ვერ გამირკვევია. „ბავშვი რომ გეკითხება, „რატომ უხეთქა ვარქსენმა ასტამი შუშანიკს?“, შენ ვერ აუხსნი, შანსი არაა“, — ინტერნეტში გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით, ასე უთქვამს მინისტრ ჯეჯელავას პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში.

რისი შანსი არ არის, რასაა რომ ამბობს, ეს კაცი! თხუთმეტი საუკუნეა იაკობ ცურტაველის ამ ნაწარმოებს იცნობს საქართველო, თითქმის საუკუნეა სკოლაში ისწავლება, ასობით (ათასობით თუ არა!) ლიტერატურისმცოდნეობის სახელმძღვანელოები, კრიტიკული ნაშრომები, ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის ათობით სახელმძღვანელოა შექმნილი, უამრავი დისერტაციაცაა დაცული ძველი ქართული ლიტერატურის პრობლემებზე და დღემდე ის ვერ გაგვიგია, რატომ უხეთქა ვარსქენმა ასტამი შუშანიკს? ხუმრობს ჩვენი მინისტრი, თუ უფრო მძიმე შემთხვევასთან გვაქვს საქმე?

სად ეძებენ და როგორ პოულობენ მინისტრობის ასეთ კადრებს? სხვათა, „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ რჩევით თუ აკეთებენ ამას, იმას მაინც თუ ხვდებიან, რომ სიბრიყვესთან წილნაყარი ამგვარი დილეტანტიზმი ქვეყნის დაქცევისაკენ გვექაჩება დიდსა და პატარას! ადრე თუ გვიან განკითხვის დღე დადგება და ყველას მოუწევს ღვთისა თუ ხალხის სამსჯავროს წინაშე წარდგომა: იმათ, ვინც ყვარყვარეებს მინისტრების სავარძელში სვამს და იმ ყვარყვარეებსაც, რომლებმაც ბრძენკაცთა მანტიები მოისხეს და სახელისუფლო კაბინეტებში დასხდნენ, რადგან არ იცოდნენ, რომ არცოდნა ყოველთვის როდია არცოდვა!

აქ უნდა დამესვა წერტილი, მაგრამ ახალი გაზეთი მივიღე და ერთი პუბლიკაციის სათაური მომხვდა თვალში — „კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდაო!“ იქვე ჩვენი მინისტრის — ჯეჯელავას პორტრეტიც დავლანდე. აუჰ, ეტყობა ეს კაცი კარგის მთქმელია და მე (და ბევრი ჩემნაირი!) არ ვარ კარგი გამგონი-მეთქი, ვიფიქრე და პუბლიკაციას გადავავლე თვალი, რომელიც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ალექსანდრე ჯეჯელავას განცხადება გამოდგა. **„ჩვენ გვჭირდება ახალი კომბლე, ახალი ნაცარქექია, ახალი რწყილი, ახალი ჭიანჭველა, რომლებიც კი არ ართმევენ ვინმეს რამეს, არამედ პატიოსანი შრომით აკეთებენ“,** — აცხადებს მინისტრი. მართალია, ის ვერ გავიგე, რას აკეთებენ პატიოსანი შრომით მინისტრის მიერ ჩამოთვლილი ზღაპრის პერსონაჟები, მაგრამ ის კი გავიგე, რომ „ჩვენ გვჭირდება ახალი რწყილი“. აგაშენათ ღმერთმა და მშვიდობაში მოგახმაროთ ღმერთმა ახალი რწყილები და სხვა მკბენარები, ჩვენო სახელისუფლო გოგო-ბიჭებო!

ზურაბ ცუცქირიძე,
პედაგოგიკის დოქტორი,
საქართველოს განათლების აკადემიის წევრი.

რედაქციისგან: *პედაგოგიკის მეცნიერების ცნობილი წარმომადგენლის და კიდევ უფრო ცნობილი პუბლიცისტის ზურაბ ცუცქირიძის ამ სტატიას უცვლელად გთავაზობთ, თუმცაღა, რედაქცია მის ზოგიერთ მწვავე (მკვახე შეფასებას) არ ეთანხმება. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ განათლების გლობალური პრობლემის გაჯანსაღებისთვის, თუნდაც გადაჭარბებულ, ბევრისთვის მიუღებელ კრიტიკასაც კი მეტი სარგებლის მოტანა შეუძლია, ვიდრე პროვინციულ ქება-დიდებას და თვალებში ნაცრის შეყრას.*

დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ქვეყნის ახალი, მაძიებელი, ფრიად ორიგინალური განათლების მინისტრი ამ წერილში მისთვის და მთელი განათლების სისტემისთვის ბევრ სასარგებლო რჩევა-წინადადებას იპოვის და სიამოვნებით გაითვალისწინებს...

„ᲣᲩᲔᲛᲝᲓ ᲕᲘᲜ ᲘᲛᲚᲔᲠᲔᲗᲘᲐ?..“

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ ᲛᲐᲖᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲙᲣᲚᲞᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ



წინასწარ ვიტყვი, რომ ეს ბიუსტი არაა ჩემი ოცნების მაქსიმუმი. მე პირადად ჯერჯერობით ოპერის ბაღში რომ „აკაკია“, იაკობ ნიკოლაძისეული, იმაზე მივლის ურუანტელი და ბერძენიშვილის „დავით გურამიშვილზე“. მაგრამ ეს წერილი დამაწერინა ამ პორტრეტის ირგვლივ ატეხილმა ქარბუქმა, რომელიც ზრდილობის ფარგლებს გასცდა.

ადამიანის თვალი არის ადამიანის მიერ მიღებული ცოდნის 80%-ზე მეტის წყარო, სმენაზე სულ 12% მოდის და დანარჩენიც სხვა შეგრძნებებზე. არსებობს დაკვირვება, რომ სწორედ ამიტომ ნახატის შეფასებისას ადამიანი უფრო თამამია, ვიდრე მუსიკის შეფასებისას.

ჰოდა, იქნებ ამაზე მოვრიგდეთ:

ხელოვანის აღზრდა ძვირი ჯდება და ამიტომ ეს საქმე ტექნიკას მივანდოთ. აი, ფოტოაპარატმა ხომ კარგა ხანია, მთლიანად შეცვალა მხატვარი. რა საჭიროა ვან გოგის დაბრეცილი პეიზაჟები და მოდილიანის დაჯღანული პორტრეტები?

შაგალი არა ხვიშტი.

პიკასო არა კვახი.

ახლა სამგანზომილებიანი პრინტერებიც შეიქმნა და აღარც სკულპტორია საჭირო.

მივიდეთ და წინასწარ ავაზომინოთ თავი, თორემ როცა მოვკვდებით, შვილები შტიბლეტებსაც გაგვხდიან და ბაზარში წაიღებენ გასასყიდად.

აი, ის პრინტერი ისეთი სიზუსტით გადმოსცემს ჩვენი სხეულის ზედაპირის ნებისმიერ კვადრატულ მილიმეტრს, რომელსაც ვერასდროს ვერც ერთი მიქელანჯელო და პრაქსიტელი ვერ გაეჯიბრება.

თუმცა, არის კიდევ ერთი საკითხი, რასაც ანგარიში უნდა გაეწიოს.

ეს არის სამწუხარო ტრადიციად ქცეული ცუდი კომუნიკაცია. თითქოს განგებ ხდება, რომ ვიღაცა ხალხის ნერვებზე თამაშობს.

ახლახან შევეხე ამ თემას ირაკლი ჩარკვიანის ძეგლთან დაკავშირებით, რომელიც მომწონს როგორც ნოვატორული შემოქმედება, მაგრამ არ მომწონს ის უვარგისი კომუნიკაცია, რომლის გამოც ასე დაუნდობლად გაილანძღა ამ საქმეში სრულიად უბრალო ირაკლი.

მოსაფიქრებელია პროცედურა, რომელიც გამორიცხავს ამგვარ ისტერიებს.

გინდაც საერთო სახალხო განხილვა იყოს ამგვარი საკონკურსო ნამუშევრების.

განა ხალხის ბრალია, რომ ის არ იცნობს ხელოვნების თანამედროვე ტენდენციებს. ახსნას ვინმემ, რომ მაზნიაშვილის ბიომეტრული პორტრეტის გამოძერწვას გენო ზაქარაიას ბრილიანტის ნიჭი სულაც არ სჭირდება. ამას ძერწვის წრეზე სიარულის ორი წლის სტაჟის მქონე მოსწავლეც იოლად მოახერხებს.

მე უსინათლო ადამიანის მიერ გამოძერწილი პორტრეტიც მინახავს, დედნის ზუსტი ასლი რომ იყო.

და ვის რაში სჭირდება ამისთანა ხელოვნება? ის, რომ ჩვენ მახინჯმა სოცრეალიზმმა ასი წლით ჩამოგვარჩინა, შესაძლოა, ჩვენდამი თანაგრძნობის მიზეზი იყოს და არა ჩვენი აგრესიის გამართლება.

როცა თბილისში მსოფლიო დონის შედევრი დაიდგა, გენიოსი სკულპტორის მიერ შესრულებული „დავით გურამიშვილი“, მას სულ მალე მორფინისტი გურამიშვილი დაარქვა სოცრეალიზმის მახინჯ არტახებში მოქცეულმა და გემოვნებაგამდარებულმა ხალხმა.

საბედნიეროდ ქანდაკებებს დიდი მოთმინების უნარი აქვთ და მოითმინა გურამიშვილმაც. ახლა კი ბევრს მოსწონს ეს ქანდაკება.

ისიც მახსოვს, ამაშუკელის „გორგასალი“ რომ დაიდგა, ასე ჭორავდნენ - რუსებს „წაეპადხალიმა“ და რუსულ ცხენზე შესვა, ვლადიმირულ ტვირთმზიდზეო (არის ასეთი მსხვილფეხა ცხენი). მახსოვს იქვე უპასუხა ერთმა ენაკვიმატმა კაცმა - ვახტანგი ისეა აღწერილი, 150 კილო მაინც იქნებოდა და ერთი 50 ჯავშნის წონას დაუმატეთო და სხვანაირი რა ცხენი გაუძლებდაო.

მერე კოწიას დიდებულ ქანდაკებაზე ატყდა ერთი ამბავი...

ასე რომ, ეს ამბები არახალია ჩვენში.

გრიბოედოვისა და მაიაკოვსკის ქანდაკებები რომ მხოლოდ პალტოს ნაოჭებით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ეს დრო აღარ უნდა დამთავრდეს?

მაზნიაშვილის ამ პორტრეტში მისი ფოტოზე ასახული გაშეშებული წამი ხომ არ უნდა იქნას გამეორებული.

არ არის სკულპტურის დანიშნულება საპასპორტო ფუნქციის შესრულება. არც ხელოვნის მიზანი არაა ხალხის გემოვნებამდე დაშვება, რათა თავი მოაწონოს. პირიქით, ხელოვანმა წინ უნდა წაიყვანოს ეს გემოვნება და ამ საზარელი ჩამორჩენის კლანჭებიდან დაიხსნას.

როცა ხელოვნების ნაწარმოები არ გესმის, შენი გემოვნება უნდა აამაღლო და არა ხელოვანს მოსთხოვო — ჩემამდე დაეშვიო. ეს არ არის სწორი ვექტორი. ასე არასდროს გვექნება ხელოვნება. მაგ გზით მიდიოდა სოცრეალიზმი. სლოგანიც ასეთი ჰქონდა - ხელოვნება ხალხისთვის! ავოე! ურა! და ასე შემდეგ. არა არის ხელოვნება დაბალი ღობე, სადაც ბევრის აზრი ბევრობის გამოა კომპეტენტური.

ამ დღეებში ბევრმა ასეთი რამაც დაწერა - გიორგი მაზნიაშვილი გენერალი იყო და ამიტომ არ შეჰფერის ასეთი პორტრეტი.

ჩემთვის კი იგი გენერალი არ არის. იგი არის ქართველი, რომელსაც საქართველოს სიყვარული სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ასეთ გმირებზე საუბრისას მე საერთოდ არ მახსენდება რამდენი ვარსკვლავი ეკერა სამხრეზე.

ხელოვნების ნიმუში ამ პიროვნების მიმართ რაღაც განცდას უნდა ჰქმნიდეს, და არა ბიომეტრულ დოკუმენტურობას. ხომ შესაძლებელია, რომ გიორგი მაზნიაშვილი ფიზიკურად ძალიან შეუხედავი ყოფილიყო? მერე რა გვეშველებოდა?

სოკრატე მართლაც ბაყაყსა ჰგავდა და ამბობენ კარგი მეომარიც იყოო. ჰოდა, გენერალიც რომ გამხდარიყო, ამგვარი კრიტერიუმებით მის გამოქანდაკებასაც ვერ გაბედავდნენ და აღარ გვექნებოდა მისი პორტრეტი.

ვან გოგის პორტრეტები რა ნიშნით მოგვწონს? მაინცდამაინც გენერალი უნდა ჰყავდეს დახატული? ექიმის დახატვა ყველანაირად მოსულა?

მე არ გამიკრიტიკებია მაზნიაშვილის ბიუსტი კასპში, დიდი „ფურაჟკით“. კარგი პორტრეტია, თუმცა ხელოვნების ნიმუში — ნაკლებად. თუმცა, მეორე მხრივ, ერნსტ ნეიზვეზტნის „მამარდაშვილი“ აშკარა გადამლაშების მაგალითია.

ვისაც სახის ზუსტი ასლი უნდა, იმან მუზეუმს უნდა მიაშუროს მიცვალებულიდან აღებული ნიღბის სანახავად.

კიდევ კარგი, რომ ოჩიაურმა „ვაჟა“ მაგ ნიღბის მიხედვით არ გააკეთა.

ხოლო პირველი გიმნაზიის ეზოში რომ აკაკი და ილიაა, მათ გამოსაძერწად სკულპტორმა ქუჩაში იპოვნა ორი კაცი — თქვენ მაგრა ჰგავხართ ფოტოზე გამოსახულ ილიასა და აკაკისაო... და გამოძერწა.

ᲘᲮ. 11 ᲒᲕ.

ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲓᲐᲞᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ

საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ყველა სახის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მცხეთის ისტორიული ძეგლების ადაპტირება დაასრულა. პროექტის ფარგლებში შშმპ პირთათვის მოეწყო შიომღვიმის სამონასტრო კომპლექსი.

უსინათლოთათვის ეკლესიასთან განთავსებულია ტაძრის მაკეტები და სპეციალური დაფა ბრაილის შრიფტით, სადაც განთავსებულია ინფორმაცია მონასტრების შესახებ, ეკლესიის მაკეტზე ხელის შეხებით უსინათლოები აღიქვამენ თუ სად იმყოფებიან, ეტლით მოსარგებლეებისათვის კი ეკლესიის შესასვლელთან პანდუსია დამონტაჟებული. ადაპტირდა სამთავროს დედათა მონასტერიც, შესასვლელთან შიომღვიმის მსგავსად განთავსებულია ეკლესიის მაკეტი და დაფა ბრაილის შრიფტით.

ეკლესიის მაკეტი და დაფა ბრაილის შრიფტით განთავსდა სვეტიცხოვლის შესასვლელთანაც. ეტლის მოსარგებლეებისთვის დამონტაჟდა სპეციალური ლიფტიც, რომლითაც ისინი ცენტრალური შესავლელით ეზოში ჩადიან. ეკლესიასთან ახლოს მდებარეობს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი, შენობის შესასვლელი ასევე ადაპტირებულია. პროექტის ფარგლებში ადაპტირდა ანტიოქიის ტაძარიც.

წყალი აიმღვრა და ჩვენ გვაქვს საშუალება, რომ ამ წყალში თევზი დავიჭიროთ

2017 წლის დასაწყისში საქართველოში ნატოს სამხედრო კომიტეტი ჩამოვა. ნატოს გენერალური მდივანი ამბობს, რომ ნატო მუშაობს საქართველოსთან შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების ვითარების შესაფასებლად და ელოდება, რომ კომიტეტის წევრები განიხილავენ შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების სიტუაციას. მისივე თქმით, **ნატო შეშფოთებულია შავი ზღვის რეგიონში რუსეთის სამხედრო აქტიურობით, განსაკუთრებით ყირიმში.**

„როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, შავი ზღვის რეგიონში სტაბილურობა და უსაფრთხოება მნიშვნელოვანია მთელი ევროპისთვის და, რა თქმა უნდა, ნატოსთვის. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ ვაფასებ ასე საქართველოსთან ძლიერ პარტნიორობას, რადგან ეს, ერთი მხრივ, ხელს უწყობს სტაბილურობას შავი ზღვის რეგიონში.

რა თქმა უნდა, ნატო შეშფოთებულია შავი ზღვის რეგიონში რუსეთის სამხედრო აქტიურობით, განსაკუთრებით — ყირიმში. ეს არის ერთ-ერთი საკითხი, რომელზეც რეაგირება მოვახდინეთ ვარშავის სამიტზე ივლისში. რუსეთმა გაზარდა შავი ზღვის რეგიონში ძალების რაოდენობა. ჩვენ, ასევე გადავწყვიტეთ ალიანსის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება. ჩვენ მუდმივად ვაფასებთ უსაფრთხოების სიტუაციას და ადაპტირებას ვახდენთ. ჩვენ ვაფასებთ საქართველოსთან დიალოგს ამ საკითხზე“, — ხაზგასმით თქვა იენს სტოლტენბერგმა.

ნატოს გენერალური მდივანი აცხადებს, რომ საქართველოს უკვე აქვს ყველა პრაქტიკული ინსტრუმენტი ალიანსის წევრობისთვის. გარდა ამისა, ნატო აგრძელებს საქართველოსთან მუშაობას შავი ზღვის რეგიონში არსებული გამოწვევების კუთხით.

„ჩვენ შევაფასეთ შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების მხრივ შექმნილი ვითარება. რა თქმა უნდა, საქართველო არის ერთ-ერთი ქვეყანა, რომელიც მნიშვნელოვანია მჭიდრო თანამშრომლობისთვის, რადგან შავი ზღვის რეგიონი სტრატეგიულად მნიშვნელოვანია მთელი ალიანსისთვის და საქართველოსთან პარტნიორობა არის ამის მნიშვნელოვანი ნაწილი“, — აღნიშნა იენს სტოლტენბერგმა.

საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის **დავით ზალკალიანის** შეფასებით, ნატოს გენერალურმა მდივანმა ძალიან მკაფიოდ განაცხადა, რომ ნატო არის ორგანიზაცია, რომელშიც არც ერთ მესამე ქვეყანას არა აქვს საშუალება, მისი გადაწყვეტილებების გადახედვა ან შეფერხება მოახდინოს.

„საერთაშორისო სამართლის ნორმები აღიარებს სუვერენული ქვეყნის უფლებას, მისთვის ხელსაყრელი უსაფრთხოების სისტემა აირჩიოს. შესაბამისად, ნატოსკენ სწრაფვა საქართველოს უფლებაა და, მეორე მხრივ, არის ნატოს წევრი ქვეყნები, რომლებიც ამ უფლებას აღიარებენ“, — განაცხადა დავით ზალკალიანმა.

ანალიტიკოსების შეფასებით, შავი ზღვის რეგიონში ნატოს მომავალ ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობა რუსეთის მხრიდან შესაძლო აგრესიის შემაკავებელი მექანიზმია. მათივე შეფასებით, ნატოს ეგიდით ბალტიის ზღვის უსაფრთხოების ფორმატში სამხედრო ტექნიკის შეყვანის ვალდებულება აიღო დიდმა ბრიტანეთმა, თუმცა შემდეგ უარი თქვა. შესაბამისად, როგორც ანალიტიკოსები ამბობენ, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როგორი იქნება ტრამპის პოზიცია შავი ზღვის უსაფრთხოების კუთხით და დათანხმდება თუ არა მსოფლიოს გავლენის სფეროებად დანაწილებას.

ევროპული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი **კახა გოგოლაშვილი** ამბობს, რომ შავი ზღვის რეგიონში ნატოს მომავალ ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობა არ არის აგრესიული ნაბიჯი. ეს არის თავდაცვის შესაძლებლობა, რომელიც საქართველომ აუცილებლად უნდა გამოიყენოს.

საქართველოში ნატოს სამხედრო კონტიგენტის შემოსვლას უმნიშვნელოვანესს უწოდებს „ანალიტიკური საბჭოს მკვლევარი“ **ზურაბ აგლაძე,** რომლის განცხადებით, საერთაშორისო არენაზე რუსეთის გააქტიურებამ დასავლეთი შეაშფოთა და მიხვდა, რომ უფრო აქტიური უნდა გახდეს.

„დასავლეთი მიხვდა, რომ რუსეთის, როგორც ფენომენის უგულებელყოფა კარგ შედეგამდე არ მიიყვანს პროცესებს. რუსეთი აქტიურობს, უკვე საერთაშორისო არენაზე გავიდა. ნახეთ, რომ ჩერთო სირიის კონფლიქტში. ეს პირველი საერთაშორისო ოპერაციაა ქვეყნის გარეთ, რომელშიც რუსეთი ჩაერთო. ამ არეულ სიტუაციაში ჩვენ გაცილებით მეტი შანსი გვაქვს, რომ უფრო დავახლოვდეთ დასავლეთთან.

მისი თქმით, შავ ზღვაში ნატოს გააქტიურება პირდაპირი პასუხია რუსეთზე და ამას ემატება თურქეთის ქმედება, რომელიც გაურკვეველია, რა გზას აირჩევს.

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** თვლის, რომ შავი ზღვის რეგიონში ნატოს მომავალ ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობა ქვეყნის მიმართ შესაძლო აგრესიის განხორციელების შემაკავებელი ფაქტორი იქნება. მისი თქმით, ანალოგიური პროცესი საქართველოში დაიწყო ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც გაჩნდა პანკისის ხეობის ისტორია.

„ამერიკელი ჯარისკაცის ჩექმამ ქართულ მიწაზე ფეხი პირველად მაშინ დააბიჯა, როდესაც გაჩნდა პანკისის ისტორია. შევარდნაძემ თქვა, რომ პანკისის ხეობაში ტერორისტები არიანო და უკვე მეორე დღეს ჩამოვიდნენ ამერიკელები. მას შემდეგ ეს ჯგუფი არის საქართველოში. ერთ-ერთი მოტივი რატომაც შემოვიდნენ ამერიკელი სამხედროები, გახლდათ ის, რომ ტერორიზმის საბაბით რუსეთი გვემუქრებოდა, რომ საქართველოში ტერორისტები არიან, ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ ჩვენი ძალებითო, მაგრამ ამერიკელებმა დაასწრეს რუსეთს....

როგორც კი შემოვიდნენ ამერიკელები, რუსეთმა შეწყვიტა ლაპარაკი იმაზე, რომ სადაც ტერორისტები არიან, იქ რუსული არმია უნდა შევიდესო. იცოდა, რომ ამერიკელ ჯარისკაცს რუსეთის მიზეზით, თმის ღერი რომ ჩამოვარდნოდა, ამერიკა დაიწყებდა თავისი ჯარისკაცის დაცვას“, — ამბობს რამაზ საყვარელიძე.

მისი თქმით, ანალოგიური სიტუაციაა ნატოს სამხედრო ძალასთან დაკავშირებით. ნატოს ჯარი არა მარტო სამხედრო ძალაა, რომელიც შენ გიცავს, არამედ გიცავს თავისი ყოფნით ამ მიწაზე.

თამთა ქარჩავა

ლიტვაში რუსეთის თავდასხმის მოსაგერიებლად ემზადებიან

მოსკოვმა საკუთარი ძალა საქართველოში უკვე აჩვენა

გავლენიან ბრიტანულ გამოცემა „The Independent“-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში გადმოცემულია მდგომარეობა, თუ როგორ ემზადებიან ბალტიის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების, კერძოდ, ლიტვის მოსახლეობა რუსეთის სავარაუდო აგრესიის მოსაგერიელებლად:

„ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში ძლიერდება იმის შიში, რომ მოსკოვი, რომელმაც თავისი ძალა უკვე აჩვენა საქართველოში, უკრაინასა და ახლა უკვე სირიაში, ბალტიისპირელებსაც არ დაინდობს. რუსეთის პრეზიდენტმა უყოყმანოდ განაცხადა, რომ იგი დაიცავს თავის თანამემამულეებს — რუსებს, სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ და იმყოფებოდნენ. და რადგანაც ბალტიისპირეთში ბევრი რუსი ცხოვრობს, ეს მუქარები მკვეთრად იგრძნობა“, — ნათქვამია სტატიაში.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ პუბლიკაციის მოკლე შინაარსს:

„ნამდვილად შეასრულებს ვლადიმერ პუტინი თავის სიტყვას თუ იგი ტრაბახობს, ეს ჯერ კიდევ გასარკვევია, მაგრამ ზოგიერთმა ლიტველმა იფიქრა, სიფრთხილეს თავი არა სტკივაო და ტყეებს მიაშურა. ერთ-ერთი მათ შორის რასა მისკინაიტეცაა, რომელიც უკვე რამდენიმე დღეა ვილნიუსის ახლოს მდებარე ტყეში იმყოფება და ადგილობრივ პირობებში ცხოვრებას ეჩვევა. **„რუსეთი ლიტვისთვის ძალიან საშიში მეზობელია, რუსები ყოველ წუთს შეიძლება თავს დაგვესხან“,** — ამბობს იგი. რასა 55 წლის პროდიუსერია და მისთვის ტყეში ცხოვრება უცხო ხილი არაა: ჯერ კიდევ 2014 წელს, როცა რუსეთმა უკრაინის კუთვნილი ყირიმი მიიტაცა, რასა მისკინაიტემ ზურგჩანთა მოიკიდა, აიღო პურის მარაგი, მარილი და სხვა აუცილებელი პროდუქტი და ტყეს მიაშურა. უფრო მეტიც — მან თავის ახლობლებს და ნათესავებს მოუწოდა, რომ ტყეს და სოფლებს შეფარებოდნენ: „სოფელში საკვებს ყოველთვის მოძებნი, ბოსტნეულია, ხილია და მშიერი არ მოკვდები“.

სხვათა შორის, ლიტვის სამხრეთ რეგიონში მდებარე ძუკაის ტყეებში მშვიდობიანი მოსახლეობა, მათ შორის ბევრი ახალგაზრდა, გამოსასვლელ დღეებში პარტიზანული ბრძოლების მეთოდებს ეუფლება. აი, რას ამბობს რიმვიდას მატუზონისი, რომელიც პარტიზანული ბრძოლის კურსს ატარებს: „თუ რუსეთი თავს დაგვესხმება, ამ ტყის გზებს რუსი ჯარისკაცების გვამებით მოვფენთ“.

ბალტიისპირეთის სამივე პოსტსაბჭოთა რესპუბლიკა ნატოს წევრია, შესაბამისად, ზოგი აინუნშიც არ აგდებს რუსეთის შემოჭრის საფრთხეს და ამაზე დარდით თავს არ იკლავს, ზოგი ცოტა შეშფოთებულია, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებსაც მართლაც ეშინიათ და უარესისთვის ემზადებიან. შიში განსაკუთრებით გაცხოველდა აშშ-ის პრეზიდენტად დონალდ ტრამპის არჩევის შემდეგ: აბა რა, მან ხომ განაცხადა, ბალტიის ქვეყნებს თუ საფრთხე დაემუქრება, ამერიკა მათ ვერ დაიცავსო. გარდა ამისა, რუსეთი კალინინგრადში (ყოფილი კენიგსბერგი, ლიტვა-პოლონეთს შორის მდებარე ტერიტორია) ბირთვული იარაღის განლაგებასაც გეგმავს.

იგივე შიშებია პოლონეთშიც, სადაც მთავრობა თავდაცვის ტერიტორიულ ძალებს ქმნის და მასში ათასობით მოხალისეა ჩაბმული. პოლონეთი ასევე ემზადება ჰიბრიდული ომისა და კიბერშეტევების მოსაგერიებლადაც. ლიტვის თავდაცვის სამინისტრომ სპეცსახელმძღვანელო გაავრცელა, სადაც გადმოცემულია როგორ უნდა დაიცვას თავი მოქალაქემ, მოცემულია აგრეთვე ინფორმაცია რუსული იარაღის შესახებ. **„ომის თავიდან აცილების ყველაზე საუკუთესო ხერხია, ვაჩვენოთ აგრესორს, რომ მზად ვართ ჩვენი თავისუფლებისა და მშობლიური მიწის თითოეული სანტიმეტრის დასაცავად“,** — ამბობს მინისტრი იუზას ოლაკასი. ლიტვამ გასულ წელს სამხედრო გაწვევა აღადგინა, მაგრამ ჯარში უომისოდაც იმდენი მოხალისე ჩაეწერა, რომ გაწვევის აღდგენა აღარც კი იყო აუცილებელი. ბევრი ახალგაზრდა ნებაყოფლობით იცვამს სამხედრო ფორმას და უკვე ჩამოწერილ, მაგრამ მოძრავი სამხედრო ტექნიკით (ჯავშანმანქანებით) ბრძოლის მეთოდებს სწავლობენ. სხვათა შორის, ლიტველებს პარტიზანული ბრძოლებისა და წინააღმდეგობის გაწევის დიდი გამოცდილება აქვთ: ისინი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა ოკუპანტებს მრავალი წლის მანძილზე ებრძოდნენ.

რუსეთის სავარაუდო აგრესიის შიში დღის წესრიგში აყენებს ადგილობრივი ეთნიკური რუსებისადმი ნდობის საკითხს, მათ ლოიალურობას ხელისუფლებისადმი. რუსები ლიტვაში მოსახლეობის 6%-ს შეადგენენ. ბევრი აქ ათეული წლების წინ დასახლდა, როცა ლიტვა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყო. ლიტველი ჩინოვნიკები აცხადებენ, რომ რუსებიც ჩვეულებრივი მოქალაქეები არიან და მათ წინააღმდეგ რაიმე ეჭვები არ არსებობს. რუსებს და ლიტველებს ერთმანეთთან კარგი კონტაქტები აქვთ. თუმცა იმავდროულად ბევრი ლიტველი მაინც შიშობს, რომ თუ ომი დაიწყება, აქაური რუსები მოსკოვის მხარეზე დადგებიან.

ზოგიერთი არალიტველის აზრით, ასეთი პოზიცია ანტირუსული პროპაგანდის შედეგია. აი, მაგალითად, რას ამბობს **რომან ნუცუბიძე,** რომელიც ლიტვაში 30 წლის წინ ჩამოვიდა, ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკში: **„ლიტვის პრესაში რუსეთი მხოლოდ ცალმხრივადაა წარმოდგენილი: რუსები აგრესორები არიან, რუსები თავს დაგვესხმებიან, ვლადიმერ პუტინი ყოველთვის ცუდია და ა.შ.“** რომან ნუცუბიძე ქალაქ ვისაგინასში ცხოვრობს, სადაც ეთნიკური რუსები და რუსულენოვანი მოსახლეობა ჭარბობს. მას ლიტვა და ლიტველი ხალხი ძალიან უყვარს და დარწმუნებულია, რომ რუსეთი ლიტვას თავს არ დაესხმება.

ვანესა გერა,
„The Independent“ (დიდი ბრიტანეთი)

ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲨᲘ ᲡᲔᲜᲡᲐᲪᲘᲐᲐ:

ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲘᲬᲛᲘᲜᲓᲔ - ᲛᲐᲪᲮᲝᲕᲠᲘᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲘ ᲒᲐᲮᲡᲜᲔᲡ.

ᲡᲐᲠᲔᲡᲢᲐᲣᲠᲐᲪᲘᲝ სამუშაოები მაცხოვრის საფლავის საყდარში ჯერ კიდევ წლეულს გაზაფხულზე დაიწყო. სხვა სამუშაოებთან ერთად ასევე დაგეგმილი იყო კუვუკლიის — იესო ქრისტეს დაკრძალვისა და აღდგომის ადგილზე დადგმული სამლოცველოს — გამაგრება. საქმე ის არის, რომ ამ ძეგლის მდგომარეობა გარკვეულ ეჭვებს ბადებდა, თუმცა ნამდვილი სენსაცია შემოდგომაზე მოხდა: ოქტომბრის მიწურულს ათენის ეროვნული ტექნიკური და ფლორენციის უნივერსიტეტების სპეციალისტებმა თავად მაცხოვრის საფლავი გახსნეს, სადაც კირქვის სარეცელს, იესოს დაკრძალვის ადგილს გადაფარებული ორი ქვის ფილა აღმოაჩინეს.

რას უნდა ველოდოთ წმინდა ადგილის შემდგომი კვლევებისგან?



ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲘᲮᲠᲔᲑᲘ ᲛᲐᲪᲮᲝᲕᲠᲘᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲧᲓᲐᲠᲨᲘ

„ᲛᲘᲣᲒᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲜᲐᲞᲝᲕᲜᲔᲑᲘ“

ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ დაკავშირებით სპეციალისტები აცხადებენ, რომ არქეოლოგიურ სამუშაოთა მიმდინარეობისა და მიგნებების შესახებ ინფორმაცია საკმაოდ ფრთხილად და მოზომილად ვრცელდება. განსაკუთრებული ყურადღება ამჟამად ორ ფილაზეა გამახვილებული, რომლებიც მჭიდროდ კეტავენ მაცხოვრის საფლავს. ერთი მათგანი მე-16, მეორე მე-11 საუკუნით თარიღდება. რამდენადაც ცნობილია, ისინი მოხსნეს და ამჟამად სწავლობენ, თუმცა კი სხვა ცნობები არ არის. არადა, საფლავი არა მარტო ზევიდან, არამედ გვერდიდანაც იყო დახურული, სამსარკმლიანი ფილით, ეგრეთ წოდებული „ტრანსენით“, რათა მორწმუნეთ სიწმინდის ხელით შეხების შესაძლებლობა ჰქონოდათ. თავად ტრანსენის შესახებ არაფერს ამბობენ, ამდენად შესაძლოა, იგი დარღვეულია, მაგრამ მისი გამაგრების კვალი მაინც უნდა იყოს დარჩენილი, იმიტომ რომ მისი არსებობა ეჭვს არ იწვევს — მისი აღწერა მომლოცველთა ტექსტებშიცაა შემონახული და იკონოგრაფიაშიც.

ორივე ფილა უკვე მოხსნილია — გადახურვის ქვებს მინერალოგიურ ანალიზს ჩაუტარებენ მისი შემადგენლობისა და მასალის წარმოშობის დასადენად. ამასთან, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ისტორიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ასევე თაყვანისცემის ნიშანთა საგულდაგულო შესწავლაც: მრავალრიცხოვან შენახებთა ნაკვლევთა და „ღვთისმოსაობითი ვანდალიზმის“ მცდელობათა ნიშნებისა, როცა მორწმუნენი თავისთვის სიწმინდის ნაწილის მოტეხვას ცდილობდნენ. განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ წარწერებს — გრაფიტის: ნამდვილად გასაკვირი იქნება, თუკი ასეთ ობიექტებზე მათ ან პიქტოგრამებს არ იპოვიან.

მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ დროისთვის ინფორმაცია საკმაოდ მწირია. მაგალითად, ცნობილი არ არის, ნაპოვნია თუ არა კერამიკის ან მინის ფრაგმენტები. არადა, მათი არსებობა სავსებით დასაშვებია — ესენი, შესაძლოა, იყოს თიხის კანდელების, ან მინის ლამპრების ნამსხვრევები. გარდა ამისა, შეიძლება იყოს ნუმიზმატური მასალაც — ღრიჭოებში ჩავარდნილი, ანდა, სულაც, საგანგებოდ დატოვებული მონეტები, ასევე მრავალი სხვა წვრილმანი, რომელმაც შეიძლება ერთიანი სურათი შეავსოს.

ᲡᲐᲓ ᲔᲡᲕᲔᲜᲐ ᲘᲔᲡᲝ?

ᲩᲕᲔᲜᲘ წელთაღრიცხვის იუდველთა დასამარხი ტრადიციისთვის ეგრეთ წოდებული „კუხაა“ დამახასიათებელი, რომელიც, არსებითად, ქვაში გამოჭრილ ღრმულს წარმოადგენს, რომელიც მასში გვერდულადაა ჩასმული. კუხები იყო როგორც პატარა, ასევე დიდი, საოჯახო. ასეთი სამარხია აღწერილი სახარებებში, სადაც მოთხრობილია, რომ ქრისტეს აღდგომისას, აკლდამის შესასვლელის ჩამკეტი ქვა, გადაგდებული იყო და შიგნით შესვლა შეიძლებოდა. ასეთ აკლდამებში მიცვალებულთა სხეულებისთვის კედელთან ქვის პოდიუმებს ან კედლის ნიშებს აკეთებდნენ. ამჟამად, მაცხოვრის საფლავის საყდარში ერთი ასეთი ნიშია. მეცნიერები კი კითხვას სვამენ: დიდი კუხის სხვა ნიშები სადღაა?

ვარაუდობენ, რომ მე-4 საუკუნეში, ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე დიდის დროს, როცა მაცხოვრის საფლავის პირველი საყდარი აიგო, სამლოცველოსთვის ადგილის გათავისუფლებისას, არქიტექტორებმა კლდე ჩამოჭრეს და, შესაძლოა, სხვა ნიშებიც მიაყოლეს. ამდენად, არქეოლოგების წინაშე მაცხოვრის საფლავის საყდრის გაფორმების მთელი ისტორიული პროცესის თვალის გადევნების მეტად მასშტაბური ამოცანა დგას.

არადა, განსამარტავი და ასახსნელი ბევრია, რადგან იმისგან, რაც ტაძარში თავდაპირველად იყო, დღემდე ცოტა რამ თუ შემორჩა (იხ.ცნობა „წმიდა ადგილი“). მე-11 საუკუნის დასაწყისში საყდარი ხალიფა ალ-ჰაკიმის ისლამისტმა ფანატიკოსებმა დაანგრიეს, რომლებმაც მაცხოვრის საფლავსაც მიაღწიეს, მაგრამ გაურკვეველია, თუ რამდენად შეძლეს მათ ძველ კლდესთან გამკლავება.

ისე კი მეცნიერებმა განაცხადეს, რომ კუვუკლიაში სამუშაოები 2017 წლის აღდგომამდე დასრულდება.

ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ

● **1 ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ.** იესო ქრისტეს გარდაცვალება და აღდგომა. ის ადგილი, სადაც ამჟამად კუვუკლიაა იმყოფება, კირქვის გამომუშავებულ კარიერს წარმოადგენს, რომლის ნაწილი ბაღადაა ქცეული, ნაწილიც — სასაფლაოდ.

● **1-ᲛᲔ-4 ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲑᲘ.** რომაელთა ბატონობა. იერუსალიმი დანგრეულია, მის ადგილზე აშენებულია ქალაქი ელია კაპიტოლინა. თანამედროვე კუვუკლიის ადგილას ვენერას წარმართული ტაძარია აღმართული.

● **ᲛᲔ-4 ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ.** ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე I დიდმა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად აქცია. ქრისტეს სიკვდილით დასჯისა და დაკრძალვის ადგილას სამუშაოები მიმდინარეობს — ანგრევენ ძველ შენობებს, გააქვთ ნაგავი. აგებენ მაცხოვრის საფლავს და აგებენ ტაძარს.

● **ᲛᲔ-11 ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ.** ხალიფა ალ-ჰაკიმის ისლამისტმა ფანატიკოსებმა საძირკვლამდე დაანგრიეს იერუსალიმის ყველა ქრისტიანული ნაგებობა. მაცხოვრის საფლავის საყდარი განადგურებულია, დარჩენილია მხოლოდ მისი საძირკვლის რამდენიმე ფრაგმენტი.

● **ᲛᲔ-11 ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲮᲕᲐᲠᲘ.** ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე IX მონომახი ტაძრის აღორძინებას უკვე ახალი პროექტით იწყებს. გამორიცხული არ არის, რომ მაცხოვრის საფლავი ბირველი ფილით სწორედ იმ დროსაა გადაფარული, რომელსაც არქეოლოგებმა 2016 წელს მიაგნეს.

● **ᲛᲔ-12 ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ.** იერუსალიმის დამპყრობი ჯვაროსნები განაგრძობენ კონსტანტინე მონომახის საქმეს და ასრულებენ დღესდღეობით ჩვენთვის ცნობილ მაცხოვრის საფლავის საყდარს.

● **ᲛᲔ-16 ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ.** „ღვთისმოსაობითი ვანდალიზმის“ აქტების თავიდან ასაცილებლად, მაცხოვრის საფლავს მეორე ფილით ფარავენ.



ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲪᲮᲝᲕᲠᲘᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲧᲓᲠᲘᲡ ᲨᲘ�გᲜᲘᲗ?

ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, ᲢᲐᲫᲐᲠᲘ ᲘᲛ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔᲐ ᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲘᲔᲡᲝ ᲥᲠᲘᲡᲢᲔ ᲯᲯᲕᲐᲠᲡ ᲐᲪᲕᲔᲡ, ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲔᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲓᲐᲜᲐᲪ ᲘᲒᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲦᲡᲓᲒᲐ.

ᲒᲝᲚᲒᲝᲗᲐ

ᲔᲡᲐᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ კლდე ან ბორცვი, რომელზეც იესო ქრისტე ჯვარს აცვეს. მაცხოვრის საფლავთან ერთად იგი საქრისტიანოს ერთ-ერთი მთავარი სიწმინდეა. არსებობს გადმოცემა, რომ სწორედ გოლგოთის ადგილზეა დამარხული პირველი ადამიანი — ადამი. გოლგოთა ამაღლებას წარმოადგენს, რომელზე ასვლა ორიდან ერთ-ერთი კიბით შეიძლება. ეს ამაღლება საკურთხეველს, პატარა მაგიდის მსგავს ნაგებობას წარმოადგენს, რომელიც ზედ გოლგოთას თავზეა აღმართული. თუკი საკურთხევლის ქვეშ შევიხედავთ, იქ, შუშის ქვეშ, მთის წვერს დავინახავთ. სწორედ ამ ადგილას იყო ჩასობილი ჯვარი, რომელიც იესომ სიკვდილის დასჯის ადგილამდე იერუსალიმზე გამოეტარა და რომელზეც შემდეგ აცვეს.

ᲖᲔᲗᲘᲡᲪᲮᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲐ

ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ გოლგოთის ძირში. ამ ქვაზე იესოს სხეული ესვენა. გადმოცემით, იესოს ორმა მიმდევარმა — სინედრიონის წევრმა იოსებ არიმაფეელმა და ნიკოდიმემ — ღამით იესოს უსიცოცხლო სხეული ჯვრიდან ჩამოხსნეს და სწორედ ამ ქვაზე იგი დაკრძალვისთვის გაამზადეს, რისთვისაც ზეთისცხების წესი აუგეს. დღესდღეობით კი ამ ქვას მირონი — არომატული ზეთი სდის, რომელსაც ეთეროვანი და ზეთოვანი მცენარეების მარცვლებიდან ამზადებენ.

ᲙᲣᲕᲣᲙᲚᲘᲐ

ᲔᲡᲐᲐ ყვითელ-ვარდისფერი მარმარილოს სამლოცველო, სადაც ყოველწლიურად, მართლმადიდებლური აღდგომის დღეს, მაცხოვრის საფლავიდან ხელთუქმნელი მადლიანი ცეცხლი გარდამოდის. ნაგებობა მაცხოვრის საფლავის თავზეა აშენებული — სახარების თანახმად, ეს ის ადგილია, სადაც ჯვარცმის შემდეგ ქრისტე მღვიმეში დაკრძალეს და სადაც მესამე დღეს აღსდგა. ქრისტეს სხეული ქვის სარეცელზე იყო დასვენებული, რომელიც მოგვიანებით ძლიერ დაზიანდა, რადგან მომლოცველები რელიკვიის ნატეხის წაღებას ლამობდნენ. ამ მცდელობათა აღსაკვეთად, 1555 წელს იგი თეთრი მარმარილოს ფილით დაფარეს.

მოამზადა
ᲝᲗᲐᲠ ᲢᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ

◎ პირველი მერცხალი

გეგეშიძე პრეზიდენტობის ოფიციალური კანდიდატია

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტობის პირველი კანდიდატი ვეტერანი მოჭიდავე გეგა გეგეშიძეა. 17 დეკემბრისთვის დაგეგმილი საანგარიშო-საარჩევნო ყრილობისთვის ჯერ-ჯერობით ოფიციალურად კანდიდატურა მხოლოდ მან წარადგინა, თუმცა, უკვე ისიც ცნობილია, რომ გეგეშიძეს მინიმუმ ერთ კონკურენტთან მოუწევს დაპირისპირება. ეს ფედერაციის მოქმედი პრეზიდენტი მანუჩარ კვირკველიაა, რომელმაც ბოლო დროს ჟურნალისტებთან გაკეთებულ კომენტარებშიც დაადასტურა, რომ კვლავ გეგმავს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას.

არჩევნების 17 დეკემბერს გამართვის თაობაზე გადაწყვეტილება ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომამ გასულ თვეში მიიღო, საორგანიზაციო დეტალებს კი 13-კაციანი სამუშაო ჯგუფი დააზუსტებს, რომელიც ძირითადად ტიტულოვანი ვეტერანი მოჭიდავეებით დაკომპლექტდა.

მანუჩარ კვირკველია საქართველოს ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციას 2014 წლის ბოლოდან ხელმძღვანელობს მას მერე, რაც შიდა დაპირისპირებებისა და ხმაურიანი გარჩევების შემდეგ ვადამდელ არჩევნებში გაიმარჯვა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ კალათბურთი

არის ახალი რეკორდი!

საქართველოს ოცდამეექვსე ეროვნული ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერ თბილისის „დინამოს“ ამერიკელმა გამთამაშებელმა დეონტა ვონმა მიმდინარე სუპერლიგის მეორე წრის მეორე ტურში „ბათუმთან“ შეხვედრის დროს 37 ქულა დააგროვა და ახალი რეკორდი დაამყარა.

შეგახსენებთ, რომ ძველი რეკორდი, 34 ქულა, „რუსთავის“ ამერიკელ ლეგიონერ ჩარლი ლის ეკუთვნოდა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი

„ენისეიმ“ ევროპა საგონებელში ჩააგდო

თუ რუსეთის ჩემპიონი, დავით კაჭარავასა და მიხეილ გაჩეჩილაძის „ენისეი“ ჩელენჯ ქაფის მეოთხედფინალში გავა, ტურნირის ორგანიზატორი EPCR-ის აღმასრულებელი კომიტეტი დებულებაში ცვლილებას შეიტანს.

„ენისეიმ“ ჯგუფური ეტაპის ორი სასტარტო შეხვედრა მოიგო, ერთში პრემიალური ქულაც მოიპოვა და 9 ქულით პირველ ადგილზეა. კრასნოიარსკელები 10 დეკემბერს სოჭში ფრანგულ „ბრივს“ მასპინძლობენ და თუ აქაც გამარჯვებულები დარჩნენ, პლეი-ოფს კიდევ უფრო მიუახლოვდებიან. არადა, ამჟამინდელი დებულების თანახმად, ჩელენჯ ქაფის შესარჩევი ტურნირის გამარჯვებული გუნდები ვალდებულნი არიან, ახალ სეზონში ჩელენჯ ქაფში თამაშის უფლებისთვის კვლავ შესარჩევ ტურნირში ჩაერთონ.

„ენისეი“ მეოთხედფინალში რომც გავიდეს, მას მომავალი სეზონისთვის საკვალიფიკაციო ტურნირში მოუწევს ჩართვა. შესარჩევი პლეი-ოფისა და ჩელენჯ ქაფის მეოთხედფინალური ეტაპის მატჩების თარიღები ერთმანეთთან ძალიან ახლოსაა და კლუბი ვერ შეძლებს ორივე ტურნირში მონაწილეობას. აღმასკომმა ეს საკითხი განიხილა და მზადაა შეიმუშაოს სათადარიგო გეგმა, თუკი „ენისეი“ ჯგუფურ ეტაპს გადალახავს“, – ამბობს EPCR-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თავმჯდომარე მარტინ ჰინდლი.

კობა კობახიძე

◎ რეპეტიცია

სლოვაკებთან დავზავდით

ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდის მოსამზადებელი ეტაპის ფარგლებში საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა თბილისის ოლიმპიურ სპორტის სასახლეში სლოვაკებთან ამხანაგური მატჩი გამართა.

შეხვედრის პირველი ნახევარი გარდამავალი უპირატესობის მიუხედავად გატანილი გოლების გარეშე ფრედ – 0:0 დასრულდა. მეორე ტაიმში ანგარიში ჩვენმა გუნდმა გახსნა – საქართველოს ნაკრების ბრაზილიელმა ლეგიონერმა რონინიომ ეფექტური დარტყმით გოლი 30-ე წუთზე გაიტანა. გაშვებული ბურთის შემდეგ სტუმრები გააქტიურდნენ და 36-ე წუთზე მარტინ დოშას გოლით ანგარიში გათანაბრდა – 1:1.

ბადრი იაშვილი

◎ ფეხბურთი

ყველა არ იყიდება!

კულტურულად იმას, რაც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის ფინიშზე უკრაინის დედაქალაქში მოხდა, კარის ხმაურიანად გაჯახუნება ჰქვია, მაგრამ სტამბოლის „ბეშიქთაშის“ ქომაგები 6 დეკემბერს, ალბათ, კარგახნის განმავლობაში გაცილებით მკვახე შეფასებით მოიხსენიებენ და მართალნიც იქნებიან.

მოკლედ, საკმარისი იყო თურქულ კლუბს უმოტივაციო კიევის „დინამო“ დაწოლოდა და გაისად გაზაფხულზე შენოლ გიუნეშის გუნდი მერვედფინალში ითამაშებდა. ბუნებრივია, შექმნილი სიტუაციის შესაბამისად ყოვლისმცოდნე ბუკმეკერებიც გააქტიურდნენ და ტოტალიზატორებში ისეთი კუშები გამოაცხვეს, თქვენი მოწონებული. სკეპტიკოსთა პროგნოზების საწინააღმდეგოდ, სერგეი რებროვის შეგირდებმა მეტოაიღო მადრიდის „ატლეტიკოსთან“, რომელმაც შარშან მორიგი ტრიუმფისკენ მიმავალი ნახევარფინალური ბილიკი ჩაუხერგა – 1:0, ხოლო „სიტი“ – „სელტიკის“ ბრიტანული ჯახი, ტრადიციისამებრ, დიდი ბრძოლით აღინიშნა და ფრედ – 1:1 დასრულდა.

ვაჟკაცურად დაემშვიდობა ელიტურ ტურნირს ლეგიონერებით დახუნძლული პროვინციული ბულგარული „ლუ-

ქე „დალეწეს“ – 6:0(!), რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ ყველა არ იყიდება!

მართალია, იმავე დღეს კიდევ რამდენიმე უინტრიგო შეხვედრა გაიმართა, მაგრამ გარკვეული ხიბლი მათაც ჰქონდა. ასე მაგალითად, მიუნხენის „ბაიერნმა“ შინ ნაკლებადკალორიული რევანში დოგორეცი“, რომელმაც საფრანგეთში „პარი სენ-ჟერმენი“ გააწბილა – 2:2 და პირველი ადგილი დააკარგვინა.

დანარჩენი შედეგები: *„ბენფიკა“ – „ნაპოლი“ 1:2, „ბარსელონა“ – „გლადბახი“ 4:0, „ბაზელი“ – „არსენალი“ 1:4, „ეინდჰოვენი“ – „როსტოვი“ 0:0.*

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

ლიზეტმა რონალდუ უარყო

ახალგაზრდობაში და სიყმაწვილეში, ალბათ, ყველას გვქონია პერიოდი, როდესაც მავანი ცნობილი ადამიანი ნამეტნავად შეგვყვარებია და წლების შემდეგ ცოტათი შეგვრცხვენია კიდეც ამ სიყვარულის. სწორედ ასე დაემართა დაშხოშიან პერუელ მოდელს ლიზეტ კამპანო იდალგოს, რომელსაც ამ ხუთი წლის წინათ კრიშტიანუ რონალდუზე ჰქონდა გული შევარდნილი.

ახლა მშვენიერი ლიზეტი ამბობს, მაშინ კიდევ უფრო თავქარიანი და ნამეტნავად ახალგაზრდა ვიყავი და უნდა მაპატიოთ, გამუდმებით რონალდუზე რომ მაბოდებდაო. პატიებით ჩვენ რა უნდა ვაპატიოთ, თავისი საქმის ყველამ თვითონ იცის, მაგრამ იმ პერიოდში რონალდუ მშვენიერ ირინა შეიკთან კოტრიალობდა და მაშინ ნამდვილად არ ეცალა პერუელი ასულისათვის.

ლიზეტ კამპანო იდალგომ რონალდუს ტრფობასთან ერთად მადრიდის „რეალის“ გულშემატკივრობასაც დაანება თავი და ახლა, როგორც თავად იძახის, მისი მთელი ენერგია და საგულშემატკივრო „მუღამი“ პერუს საფეხბურთო ნაკრებს ეკუთვნის. უბრუნდება ქალი ფესვებს, რას ერჩით...

როსტომ რაჭველიშვილი

„უჩემოდ ვინ იმღერეთა?..“

(მეშვიდე გვერდიდან)

არადა, ბევრს ნამდვილი ილია და აკაკი გეგონათ. გამოტყდით!!!

დამწუნებელთა ნაწილი წერს – ზოგი რაკურსით პორტრეტი ბაყაყს ჰგავსო...

აქ ერთი ანეკდოტი მახსენდება – ჭიჭიკიამ მეზობელ ქალს უჩივლა – კისერი მომტეხაო. მიადგნენ სახლში – აბა როგორო? აი, აბაზანაში რო შევდივარ, სკამს რო სკამზე დავდგამ, ჩემი ფანჯრიდან ჩანს როგორ ბანაობსო და სკამი ამიყირავდაო. თუ ქვეშ შეუძვრები სააკაძის ძეგლს, მხოლოდ ცხენის ყვერებს დაინახავ .

ერთიც არის – ამ მხრივ დიდად ორიგინალურნიც არ ვართ.

არცერთ იმპრესიონისტს ლუვრში გამოფენა არ ღირსებია, წყევლა-კრულვას უთვლიდნენ და მჯღაბნელებს ეძახდნენ. ჯოკონდა სამასი წელი ლუვრის სარდაფში ეგდო და სანამ სკანდალის საგანი არ გახდა მისი მოპარვის გამო, არც არავის უთქვამს რომ შედევრია.

კარმენის პრემიერაზე ბიზე ისე გალანძღეს, რომ მოკვდა.

ბერლიოზი და როსინი ისე აბუჩად იგდებდნენ ვაგნერს (სამივე ამ კომპოზიტორზე ვგიჟდები), რომ მიკვირს ცოცხალი როგორღა დარჩა.

გავიდა საუკუნე და ის ეიფელი, რომლის წინააღმდეგაც პარიზის მთელმა ელიტამ გაილაშქრა, ახლა მთელი ქვეყნის სიმბოლო და სიამაყეა, ხოლო შიმშილით მკვდარი პოსტიმპრესიონისტების ნამუშევრები მილიონებად იყიდება.

პირიქითაც კი მომხდარა, ანუ, როცა ნამუშევარი ისე მოსწონებიათ, რომ ჭორი დაუგდეს – სინამდვილეში სხვაა ავტორიო. მაგალითად – ყაზბეგის „ელგუჯა“ და ჭაბუას „დათა თუთაშხია“.

იქნებ ამ ისტორიებმა დააცხროს ეს ისტერიები.

ქართული სიჯიუტე უკან დახევის საშუალებას მაშინაც არ იძლეოდა, როცა მტრის ჯარი ათჯერ მეტი იყო და ამან გადაგვარჩინა კიდეც. ამ შემთხვევაშიც ამ ხასიათის ანარეკლსა ვხედავ და, სიმართლე გითხრათ, მიუხედავად ზოგი კომენტარის კარიკატურულობისა, გულიც მიჩუყდება მათ მკითხველს. რუსთაველსაც აქვს ეს მომენტი დაჭერილი – „მაგრა იტყვის – ჩემი სჯობსო...“

არჩილი მეფე იყო და, აბა ნახეთ რას ჩივის: „ასრე სჭირს საქართველოსას დიდებულთ, გინა მცირეთა, აზვავდებიან იტყვიან: უჩემოთ ვინ იმღერეთა?“

გინა მცირეთაო, ვეჟო! არაფერს გაგონებთ ესა?

ბედი ჩვენი, რომ მძიმე ოპერაციის დროს ავადმყოფს ნარკოზი არ აძლევს საშუალებას, აქტიურად მიუთითოს ქირურგს, თუ როგორ უნდა წარიმართოს ოპერაცია, თორემ ქართველი არც ამაზე დაიხევდა უკან.

ერთ ანეკდოტსაც გავიხსენებ და მისიას შესრულებულად ჩავთვლი.

ერევნის რადიოს სერიიდანაა ეს ანეკდოტი:

კითხვა, შესაძლებელია თუ არა ხალხმრავალ ადგილზე ქალის გაუპატიურება? პასუხი – შეუძლებელია, რადგან რჩევადარიგებებით გაგტანჯავენ.

თუმცა, ჩვენც გვჩვევია ზოგი რამის ერთსულოვნად აღიარება. მაგალითად:

– ქალბატონი აგრაფინას გამომცხვარ ხაჭაპურს არაფერი ჯობს!!! ან – სიყვარულოვიჩის ხარჩო „პახმელიაზე“ პირველია!!!

არადა, ჩვენ ვართ ხალხი, რომელიც ერთად მღერის ოთხ ხმაში და ამას სხვა ვერავინ ახერხებს.

არც კრიტიკაა ცუდი საქმე, პირიქით, კრიტიკის გარეშე არა საქმე წინ არ იძვრის, მყაყდება და კვდება ყველაფერი. მაგრამ ადამიანი, ვისაც არ ყოფნის ცოდნა, ქირურგს ოპერაციას არ უნდა ასწავლიდეს, მძღოლს – ტარებას, მხატვარს – ხატვას და თან ამას შეურაცხყოფას არ უნდა ურთავდეს. ეს არის ერთმნიშვნელოვნად არასწორი.

ყველამ ყველაფერი რომ ვიცით, ამის შედეგია ის, რომ გერმანელი „მერსედესს“ აწყობს და ჩვენ ექსპორტზე გასატანი თითქმის ვერაფერი შევქმენით ჯერჯერობით.

მე იმ დროს მოვესწარი, როცა რაც ხალხს მოსწონდა, ის უნდა დადგმულიყო და ამის მაგალითი იყო მთავრობის სახლის წინ დადგმული მუშისა და გლეხის ქანდაკებები მაშინ, როცა ავთო ვარაზს ავიწროებდნენ, როგორ თუ შენი პოპ-არტი გუგენჰეიმის მუზეუმმა წაიღოო.

ამიტომ, ამის ყოველგვარი გამოვლინება მწარედ მჩხვლეტს და ვერასდროს წავუყრუებ.

ჰო, ისიც მიხარია, რომ დღეს უკვე ამდენ ადამიანს უყვარს მაზნიაშვილი, რადგან ის დროც მახსოვს, მისი სახლ-მუზეუმის გახსნის მოთხოვნით რომ დავრბოდით სხვადასხვა ინსტანციაში რამდენიმე კაცი და მცირერიცხოვნების გამო რომ ძალა არ გვეყო.

კობა ჭუმბურიძე

ეპიტაფია

რეზო ცანავა



ცანავების საგვარეულოს გამოაკლდა ერთი გამორჩეული ადამიანი, საგვარეულოს ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი – საგვარეულოს კავშირის თავმჯდომარე რეზო ცანავა. ის ნამდვილად იყო გამორჩეული თავისი სიკეთით, თავმდაბლობით, შინაგანი ინტელექტით. იყო ლამაზი, პეწიანი, მუდამ მოწესრიგებული, ტკბილმოუბარი, გაწონასწორებული. ბ-ნი რეზო ათეული წლების განმავლობაში მუშაობდა ტრანსპორტის სამინისტროში ხელმძღვანელ თანამდებობებზე, სადაც ასევე გამოირჩეოდა თავისი არაჩვეულებრივი ადამიანური თვისებებით, საქმისადმი ერთგულებით და პროფესიონალიზმით.

რეზო ყველას დაგვაკლდა, პირველ რიგში მის ლამაზ და ღირსეულ ოჯახს.

წავიდა ვალმოხდილი, პატიოსანი, კარგი ქართველი და დაგვიტოვა ტკბილი მოგონებები.

გვჯერა, რომ ბ-ნი რეზო პირნათლად წარდგება უფლის წინაშე და სამუდამო განსასვენებელს დაიმკვიდრებს წმინდანთა სავანეში

ცანავების საგვარეულო კავშირი

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ილია (ილო) ფალავანდიშვილი.**

იგი წლების განმავლობაში მუშაობდა ქ. თბილისის სანერგეს უფროსად, ქ. თბილისის გარემოს დაცვის კომიტეტში, იყო ქ. თბილისის გამწვანების უფროსის მოადგილე. მან საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში მუშაობა 2010 წელს დაიწყო და თანამშრომლების დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

კიდევ ერთხელ გამოვთქვამთ ჩვენს მწუხარებას შესანიშნავი მეცნიერისა და კოლეგის გარდაცვალების გამო და ვუერთდებით ოჯახისა და ახლობლების მწუხარებას.

სულთათანა

ვიქტორ მალოლეტნევი



ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცენტრის ქცევისა და კოგნიტიური ფუნქციების შემსწავლელი ლაბორატორიის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, თვალსაჩინო მეცნიერი, პროფესორი ვიქტორ ივანეს ძე მალოლეტნევი.

ვ. მალოლეტნევი დაიბადა 1941 წლის 15 ივლისს ქ.ფოთში. 1964 წელს დაამთავრა ქ.სტავროპოლის სამედიცინო ინსტიტუტი, სპეციალობით სამკურნალო საქმე, სპეციალიზაცია – ფსიქონევროლოგია. 1968 წლიდან ის მუშაობს ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტში უმცროს, ხოლო 1974 წლიდან უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1971 წელს ვ.მალოლეტნევმა დაიცვა დისერტაცია ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1987 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. 1985-2004 წლებში ის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ფსიქოფიზიოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელია, ხოლო 2004-2006 წლებში – ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ქცევის ფსიქოფიზიოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი. 2000-2006 წ. ვ. მალოლეტნევი ი. ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა სამეცნიერო ნაწილში.

ვ.მალოლეტნევის სამეცნიერო მოღვაწეობაში შეიძლება რამდენიმე ეტაპი დაიყოს: 1968-1978 წლები: ასოციაციური და თალამო-კორტიკალური სისტემების ელექტროფიზიოლოგიური მახასიათებლების შესწავლა. 1977-1996 წლები: ძილის, როგორც ცნსის ფუნქციური მდგომარეობის თვითრეგულაციის საბაზო პროცესის, ფუნქციური მახასიათებლების დადგენა. 1985-2006 წლები: ორგანიზმის ფსიქოფიზიოლოგიური მდგომარეობის თვითრეგულაციის მექანიზმების შესწავლა სხვადასხვა ტიპის სტრესული ზემოქმედების (ინტენსიური ფიზიკური და გონებრივი დატვირთების, ფსიქოემოციური გადატვირთვის) პირობებში და ამ მექანიზმების ოპტიმიზაციისა და კორექციის მეთოდების შემუშავება ნორმალურ პირობებსა და ცნს-ის პათოლოგიური დარღვევების დროს. 2006-2014 წლები: თავის ტვინის ბიოელექტრული თავისებურებების შესწავლა ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვებში კომპიუტერული ელექტროენცეფალოგრაფიის მეთოდით.

ვ. მალოლეტნევი წარმატებით მოღვაწეობდა არა მარტო ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრში, არამედ დ. ტატიშვილის მედიცინის ცენტრშიც. ის 200-ზე მეტი სამეცნიერო შრომისა და 2 მონოგრაფიის ავტორია. მისი შრომები იბეჭდებოდა რეიტინგულ ჟურნალებში.

1971-2006 წლებში ის აქტიურ სამეცნიერო მუშაობას უთავსებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას: საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში ვ. მალოლეტნევი იყო ბიომექანიკის კათედრის დოცენტი. მას მიჰყავდა კურსი „სპორტული ვარჯიშის მედიკო-ბიოლოგიური ასპექტები“. 1976-2006 წლებში ვ.მალოლეტნევი ხელმძღვანელობდა ამავე ინსტიტუტის სპორტული მედიცინის კათედრას.

მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია 4 საკანდიდატო და 4 სადოქტორო დისერტაცია .

2004-2006 წლებში ვ.მალოლეტნევი მონაწილეობდა ფსიქოფიზიოლოგთა მე-12 კონგრესში (საბერძნეთი), ეპილეფსიის საკითხებისადმი მიძღვნილ 25-ე საერთაშორისო კონგრესში (პარიზი), ევროპის ფსიქოფიზიოლოგთა საზოგადოებების VI კონგრესში და ა.შ. მას მოპოვებული ჰქონდა საერთაშორისო და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კვლევითი გრანტები.

წლების მანძილზე ვ.მალოლეტნევი იყო International Journal of Memory-ის და Journal of neurosciences მთავარი რედაქტორის მოადგილე. ი. ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ყველა სამეცნიერო ფორუმის ორგკომიტეტის წევრი. ვ.მალოლეტნევი მთელი რიგი საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების (IBRO, IOP, FENS, ESRA) წევრია.

ვ. მალოლეტნევის სამეცნიერო მოღვაწეობა აღინიშნა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით(1986), ასევე იენის უნივერსიტეტის საპატიო მედლითა და სიგელით. 1996 წელს მას მიენიჭა ი. თარხნიშვილის სახელობის პრემია მონოგრაფიისათვის “ძილი და ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობის თვითრეგულაცია“.

ვიქტორ მალოლეტნევი იყო მაღალი დონის პროფესიონალი და ნამდვილი ერუდიტი. ღრმა ცოდნის მქონე, განათლებული და ჭეშმარიტი ინტელიგენტი. დიდია ის გულისტკივილი, რასაც ცენტრის თანამშრომლები განიცდიან. ბატონი ვიქტორის ნათელი ხსოვნა დიდი ხნის განმავლობაში დარჩება იმ ადამიანებს შორის, ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია მასთან შეხვედრის ბედნიერება.

„შაქრო ბაბუა“ თარგმანის კვირეულს მასპინძლობს...

ამ დღეებში წიგნის მაღაზია „შაქრო ბაბუაში“ თარგმანის კვირეული იმართება, რომლის ფარგლებშიც ქართველი მთარგმნელები საუბრობენ თავიანთ მიერ სხვადასხვა დროს თარგმნილ წიგნებზე, შემოქმედებით პროცესსა და თარგმანის მნიშვნელობაზე თანამედროვე ლიტერატურის განვითარებაში.

თარგმანის კვირეულში მონაწილეობენ ცნობილი მთარგმნელები:

დათო აკრიანი, თამარ ლომიძე, ანი კოპალიანი, გურამ გოგიაშვილი, მაია ფანჯიკიძე.

დათო აკრიანს ფრანგულიდან, ინგლისურიდან და რუსულიდან თარგმნილი აქვს **შარლ ბოდლერის, რიჩარდ ბახის, ჯორჯ ორუელის, იოსიფ ბროდსკის, მორის მეტერლინკისა და იუსტაინ გორდერის** ნაწარმოებები.

თამარ ლომიძის ქართული თარგმანებია:

- **ვლადიმერ ნაბოკოვის** „ლოლიტა“;
- **თომას პინჩონის** „ლოტ 49-ის გამოცხადება“;
- **ერნესტო ჩე გევარას** „მოტოციკლისტის დღიური“;
- **ჯეფრი იუჯინიდისის** „თვიმკვლელი ქალწულები“;
- **ფილიპ როთის** „ამერიკული პასტორალი“;
- **ტრეისი შევალიეს** „გოგონა მარგალიტის საყურით“;
- **სიუ მონკ კიდის** „ფუტკრების იდუმალი ცხოვრება“.

ანი კოპალიანი ფილოლოგი, თარგმანთმცოდნე, მთარგმნელი, პედაგოგია. თარგმნილი აქვს **ედით უორტონის, თომას ვულფის, ლ. მ. ოლკოტის, მარგარეტ ეტვუდის** რომანები და **უილიამ შექსპირის, რიდიარდ კიპლინგის, სილვია პლათის, ენ სექსტონის, ბორის პასტერნაკის, მარინა ცვეტაევას, ვლადიმერ ვისოცკის** პოეტური ნაწარმოებები.

2010 წელს ამერიკელ პოეტ ტიმ კერჩერთან ერთად თარგმნა ბესიკ ხარანაულის პოემა „ხეიბარი თოჯინა“ ინგლისურ ენაზე.

გურამ გოგიაშვილს, როგორც მთარგმნელს, კარგად იცნობს ქართველი მკითხველი ისეთი საკულტო ნაწარმოებით, როგორიცაა **ფრანსუა რაბლეს** „გარგანტუა და პანტაგრუელი“ და **ერაზმ როტერდამელის** „შესხმა სისულელისა“. მისი თარგმნილია ასევე **პაულო კოელიოს, მილორად პავიჩისა და მო იენის** რომანები.

მაია ფანჯიკიძე კვირეულის ფარგლებში დაგეგმილ შეხვედრაზე წარადგენს როგორც საკუთარ თარგმანს (**თომას ბერნარდის** „სანახაობის მომწყობი“), ასევე ისაუბრებს დედის – დალი ფანჯიკიძის მიერ თარგმნილი **ულრიხ პლენმცდორფის** რომანის „ახალგაზრდა ვ.-ს ახალი ვნებანი“ და სხვა თარგმანების შესახებ.

◎ ანეკდოტები

ახალბედა მონადირეები დათვზე ნადირობის მოწყობას აპირებენ, მეტყევე მათ ჭკუას არიგებს:

— მაშ, ასე: ერთადერთი, რაც უნდა დაიმახსოვროთ, როცა დათვს დაინახავთ და თოფი არ გავარდება, უკან-უკან ასეთი სქემით უნდა დაიხიოთ — ნაბიჯი უკან, მერე ნაბიჯი მარჯვნივ, მერე კიდევ ერთი ნაბიჯი უკან, მერე ნაბიჯი მარცხნივ და ასე შემდეგ.

მონადირეები ერთმანეთს გაკვირვებულები მიაშტერდნენ:

— კი მაგრამ, ასე „კიბე-კიბე“ სიარული რაღა საჭიროა?

— რა საჭიროა და ქაქში ფეხი რომ არ ჩადგათ!

* * *

— რა ვქნა, აღარ ვიცი, დედაჩემს ჩემი შერჩეული ქალიშვილი არ მოსწონს, ცოლი ვერაფრით ვერ მომიყვანია! — შესჩივლა ბიჭმა თავის მეგობარს.

— შენც ისეთი ქალიშვილი მონახე, რომელიც დედაშენისნაირი იქნება! — ურჩევს მეგობარი.

— მოვნახე ასეთიც, მაგრამ ერთი გენახა, მამაჩემმა რამხელა ამბავი დამაწია!

* * *

— **მოდი,** ჩემო ზურაბ, სიგარეტის მოწევას თავი დავანებოთ! — სთავაზობს მეგობარი.

— დავანებოთ, მაგრამ რისთვის?

— იმისთვის, რომ ნახავ, ერთ თვეში რამხელა ეკონომიას მივიღებთ!

— მაშინ, მოდი, და ბარემ სმასაც დავანებოთ თავი!

— გაგიჟდი, ბიჭო, ამდენ ფულს მერე რა უნდა უყო?!

* * *

ძუჩაში გამვლელმა პატარა ბიჭუნა დაინახა, რომელიც საღარბაზოსთან სიგარეტს აბოლებდა, თან ლუდს აყოლებდა და უსაყვედურა:

— აბა, რასა შვრები, შვილო, სკოლაში რატომ არა ხარ?

— სად გინახავთ, ქალბატონო, ხუთი წლის ბავშვი სკოლაში დადიოდეს? — გაუკვირდა პატარას.

◎ მსოფლიოს გარშემო

ობამა ტრამპს რჩევებს აძლევს

ბარაკ ობამა დონალდ ტრამპს მოუწოდებს, ტერორიზმთან ბრძოლა ისლამთან ბრძოლაში არ აერიოს. „ასეთი მიდგომა ტერორისტებს კიდევ უფრო გააძლიერებს და შესაბამისად, ტერორიზმის საფრთხესაც გაზრდის,“ — აცხადებს ბარაკ ობამა.

ტრამპს ახალი თვითმფრინავი არ სჭირდება

დონალდ ტრამპის თქმით, **ბოინგთან კონტრაქტი უნდა გაუქმდეს, რისგანაც ახალი თვითმფრინავის შეძენა დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული.** „ახალი ბოინგი 4 მილიარდი დოლარი დაჯდება, რაც დიდი ფუფფუნებაა,“ — წერს ტრამპი.

დამასკოში ამბოხებულები იარაღს ყრიან

შან-ეშ-შეიხის რაიონში იარაღი 3 ათასზე მეტმა მებრძოლმა დაყარა. ისინი სპეციალური ავტობუსებით დამასკოში გადაიყვანეს. ხელისუფლებას მათ 500 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი და ასაფეთქებელი მოწყობილობები ჩააბარეს. ამბოხებულებთან მოლაპარაკება თვეზე მეტი გრძელდებოდა.

მიწისძვრა ინდონეზიაში

კუნძულ სუმატრაზე 6,4 მაგნიტუდის მიწისქვეშა ბიძგები დაფიქსირდა. სტიქიას, ბოლო მონაცემებით, 54 ადამიანი ემსხვერპლა. სამაშველო სამუშაოები სტიქიური უბედურების ზონაში გრძელდება. მაშველები ნანგრევებში მოყოლილი ადამიანების ამოყვანას ცდილობენ.

საპროტესტო აქცია ათენში

დემონსტრანტები ქუჩაში 8 წლის წინათ პოლიციის მიერ მოკლული მოზარდის ხსოვნის პატივსაცემად გამოვიდნენ და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ძალის გადამეტების ფაქტები გააპროტესტეს. აგრესიულად განწყობილი აქტივისტების ნაწილმა პოლიციას მოლოტოვის კოქტეილები დაუშინა. სამართალდამცავებმა მანიფესტანტების წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები გამოიყენეს. დაკავებულია 20-მდე აქტივისტი.

ამერიკის აეროპორტში გოჭი სამსახურში აიყვანეს

აშშ-ის ქალაქ სან-ფრანცისკოს აეროპორტს არაორდინარული თანამშრომელი ჰყავს, გოჭი სახელად ლილუ. მან შეავსო აეროპორტში არსებული ეგრეთ წოდებული „კუდიანების ბრიგადა“, სადაც აქამდე ოცამდე ძაღლი მუშაობდა. ცხოველების დანიშნულება მგზავრებისათვის სტრესის მოხსნაა. ყველა მათგანს სპეციალური ჟილეტები აცვიათ წარწერით „მომეფერე“.

„კუდიანების ბრიგადა“ უკვე სამი წელია, აქტიურად მუშაობს. ახალ თანამშრომელ გოჭუნას კი უკვე უამრავი თაყვანისმცემელი გამოუჩნდა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამოცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.5744; ევრო - 2.7734;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2836;
100 რუბლი - 4.0370; თურქული ლირა - 0.7332;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4475;
1000 სომხური დრამი - 5.3411.

ამინდი 8 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე -5	დღე +2
მთიანი რაიონები -	ღამე -12	დღე +0
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე 0	დღე +5
მთიანი რაიონები -	ღამე -9	დღე 0
თბილისი:	ღამე 0	დღე +1

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE